





# ՁԱԿՆԵՐ ԳՆԱԿԱՆ ՎԱՆՈՒԹՅՈՒՆ



# ს ა რ ჩ ე ვ ი



შობა ყოვლადნმდისა დედოფ-  
ლისა ჩვენისა ღვთისმშობელისა  
და მარადის ქალწულისა  
მარიამისა - ღვთისმშობლობა .... 2



დრომ ერთი  
სევდაც არ მაპატია ..... 3



კირილე პაჭკორია ..... 8



ძუკუ ლოლუა ..... 9



ერთი დღე გურამ ფირცხალავას  
ცხოვრებიდან..... 10

**ნინო რეხვიაშვილი** —

ნუცას ბალი ..... 13



**გივი სიხარულიძე** —

ნოველები წიგნიდან „დიდება შენს  
საქმეს, თემურ“! ..... 14



გია ნოდისა ლიტერატურული  
გემოვნება ..... 16

ნინო რეხვიაშვილის პასუხი გია  
ნოდისა..... 17



„ოქროს სანმისი“ და ძველი  
კოლხეთის მოსახლეობის  
ეთნიკური ვინაობა ანუ რა ენაზე  
მეტყველებდა მეფე აიეტი..... 18



უფლის სადიდებელი — მაყვალა  
ხორბალაძე ..... 21



საზარელი ფაქტები  
XVII საუკუნის საქართველოში... 22



**ნინო კემულარია** —  
ბილიკები..... 24



ცინუკი დადიანი —  
მაგნოლია ..... 27



ქართულ-აფხაზური ამბავი ..... 28



რამდენიმე ეპიზოდი თინათინ  
ჯიქიას ცხოვრებიდან..... 30

სასარგებლო რჩევები..... 32



დრო, რომელსაც ცრემლის  
გარეშე ვერ გაიხსენებთ..... 33



**დავით კიკოლაშვილი** —  
დაბრუნებული საუნჯე ..... 34



ზუგდიდი სრულიად  
საქართველოს ამცნობს..... 36



ნალენჯიხა სრულიად  
საქართველოს ამცნობს..... 37



მარტვილი სრულიად  
საქართველოს ამცნობს..... 38



ხობი სრულიად  
საქართველოს ამცნობს..... 39



სენაკი სრულიად  
საქართველოს ამცნობს..... 40

მთავარი რედაქტორი —  
**ნინო რეხვიაშვილი**

ტელ: 599 74 68 10

დამფუძნებელი —  
**გოჩა გუტაშვილი**

ტელ: 599 53 58 94

კომპიუტერული უზრუნველყოფა  
**დალი ჯვარაშვილი**

ტექსტი ააწყო

**თამარ გოგინაძე**

**ძვირფასო მკითხველო!**  
გაცნობებთ, რომ რედაქციაში შემოსული  
მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს  
ავტორი. რაც შეეხება სარეკლამო ტექსტს,  
მთელი პასუხისმგებლობა რეკლამის  
შემკვეთს ეკისრება.

მისამართი: თბილისი, ლესელიძის ქ. №27,  
მე-2 სართული, ოთახი №3, ტელ.: 790 74 68 10  
ელ-ფოსტა: nino153@mail.ru

**ჟინანდი მასალების  
მართვაწესი უსიანია!**



# შობა ყოვლადწმიდისა დედოფლისა ჩვენისა ღვთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა - ღვთისმშობლობა

ქრისტიანულ ლიტურგურაში არსებობს იაკობის აპოკრიფული თხზულება „შობა მარიამისა“, რომელიც დანვრილებით მოგვითხრობს, როგორ შეეძინათ იოაკიმესა და ანას მომავალი მშობელი განკაცებული უფლისა.

მდიდარი, მაგრამ უშვილო იოაკიმე ყოველწლიურად ორმაგ მსხვერპლს სწირავდა უფალს. ერთ-ერთ დღესასწაულზე, როცა ებრაელები იერუსალიმის ტაძარში მსხვერპლ-შენიღვრისთვის ემზადებოდნენ, მათ უარი უთხრეს იოაკიმეს პირველს შეენიღვრა მსხვერპლი, მიზეზად კი იოაკიმესა და ანას უშვილობა წამოაძახეს (ებრაელ ხალხში უშვილობა ღვთის სასჯელად ითვლებოდა).


დაღონებულ იოაკიმეს მწუხარება გაუასკეცდა და ისე მიაშურა უდაბნოს, რომ შინაც აღარ შეუვლია მეუღლის სანახავად. იქ, სახელდახელოდ აგებულ კარავში, მან ორმოცი დღე და ღამე უჭმელ-უსმელმა გაატარა მხურვალე ლოცვაში.

წმიდა ანას წუხილს ქმარზე დარდიც დაემატა და ის თითქმის არავის ეჩვენებოდა. ანას უშვილობა წამოაყვედრა მისმა მხევალმაც: „უფალმა ღმერთმა დაგიხშო საშო და არ მოგმადლა ნაყოფი ისრაელიანთა შორისო“. მაშინ ანამ სამგლოვიარო სამოსელი გაიხადა, საზეიმოდ ჩაიცვა, ბაღში ჩავიდა, დაფნის ხის ქვეშ ჩამოჯდა და უფალს მხურვალედ შეევედრა: „ღმერთო მამათა ჩემთაო, მაკურთხე მე და შეისმინე ვედრება ჩემი ისე, როგორც აკურთხე შენ ჩვენი სარა და მიაწიქე მას ისააკი“.

ანგელოზი გამოეცხადა ანას და ახარა, რომ ღმერთმა შეისმინა მისი ვედრება და იგი დედა გახდებოდა, მისი ნაშობი კი ქვეყანასა ზედა განდიდდებოდა. გახარებულმა ქალმა მადლიერების ნიშნად აღთქმა დადო, შვილი უფლისათვის შეენიღვრა, რომ მისი მსახური ყოფილიყო მთელი სიცოცხლის მანძილზე.

ანგელოზმა უდაბნოში განმარტოებულ იოაკიმესაც აუწყა, რომ ღმერთმა მისი ვედრება შეისმინა და მალე შვილი შეეძინებოდათ.

იოაკიმემ მწყემსები მოიხმო და შესაწირავი



მსხვერპლის გამზადება უბრძანა. ანა მას სახლში ელოდებოდა. დაინახა თუ არა მწყემსებთან ერთად მომავალი მეუღლე, წინ მიეგება და სასიხარულო ამბავი ამცნო.

მათ შეეძინათ ქალი, რომელსაც მარიამი უწოდეს. ექვსი თვის მარიამი დედამ მიწაზე დასვა. ბავშვმა შვიდი ნაბიჯი გადადგა და დედის კალთამდე მიაღწია. გახარებულმა დედამ შვილი ხელში აიტაცა და აღთქმა დადო, რომ ვიდრე უფლის ტაძარში არ მიიყვანდა, მიწაზე ფეხს აღარ დაადგმევინებდა.

როცა მარიამი ერთი

წლისა გახდა, იოაკიმემ დიდი ღვინო გადაიხადა, შინ მოიწვია მღვდელმთავრები, მღვდლები, მწიგნობრები, პატივსაცემი მოხუცებულნი. „ისმინე, ისმინე ისრაელის თორმეტო ტომო, ძუძუს აწოვებს ანა“, - სიხარულით გალობდა წმიდა ანა.

როცა მარიამი სამი წლისა გახდა, მშობლებმა, მიცემული აღთქმისამებრ, ტაძარში მიიყვანეს. უბინო ასულებმა ანთებული სანთლებით მიაცილეს ბავშვი ტაძრამდე, მღვდელმთავარმა მარიამი საკურთხეველში შეიყვანა და ასე აკურთხა: „შთამომავალთა შორის განადიდა უფალმა სახელი შენი. უკანასკნელ ჟამს შენ მიერ გამოიხსნას უფალმა შვილნი ისრაელისა“.

ცხოვრობდა ტაძარში ქალწული და ანგელოზთა ხელით იღებდა საზრდოს, სანამ თორმეტი წლის არ გახდა და უფლის ბრძანებით საპატრონოდ მოხუც ქვრივს, იოსებს არ ჩააბარეს.

შობა ყოვლადწმიდა ქალწულ მარიამისა ერთ-ერთი უდიდესი დღესასწაულია. ეს ის დღეა, როცა უფალმა წყლობის თვალთ გადამოხედა ცოდვით დაცემულ კაცობრიობას და ქვეყანას მოუფლინა წიაღი ღვთის განხორციელებისა, საყდარი მეუფისა, კიბე ზეცისა, გამომსყიდველი ევას შეცოდებისა - ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი მარიამი, დედა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.



# ერო ერთი სავდეს ან მავანტია

მიყვარს ფრანკა, „ხის სიმაღლე ფანჯარებიდან იწომაგაო“.  
შესაბამისად ჩვენი ეროვნული მრწამსისა და სულიერების  
საზომ ერთეულად წარსული მიმართება, ნათელი წარსული  
კავშირები მომავლის რწმენით განმსჭვალული. არ ვიცი ეს  
აღზრდის ბრალია თუ შინაგანი გუნების, მაგრამ გავშვობიდანვე  
უფროსებთან უთიარტოება რომ მსიამოვნებაა, ეს ფაქტია. დღეს,  
როდესაც ოთხ ათეულზე მეტ წელს გადავაბიჯა, უფრო ღრმად  
მისმის ჩვენი ფანჯარის სიქლიერა, ადამიანები, რომლებმაც  
ცხოვრების მყარი ნიშნები შეგვიქმნეს, ოქროს ფონდის ბინადარნი  
მგონიან. ვუყურებ მათ და ვხედავ, ვინ ვართ ჩვენ, ქართველები —  
ქლიერი, ნიჭიერი, თავმოყმონა ადამიანები.

ყვანვილ ქალბავში გავო მლოცავდა სოლმა, შენ დაუბარდი  
გავიანო. მაშინ ამ სიტყვების მნიშვნელობა სრულფასოვნად არ  
ვიცოდი და ვგრავდებოდი, სიბერა არ მიწდა-მეთქი. გავია პირჯვარს  
გარდასასავდა, მაკოცებდა და გულში მიხუტებდა. გრძნობდა ჩემს  
გულუბრყვილობას. დღეს ასაკი ჩემთვის ყველაზე ღირებულები და  
ფანჯარაა. ასაკი სიბრძნის გორაა, ასაკი საბანძურია, რომელსაც  
მოფრთხილება და გაფრთხილება სჭირდება. თითოეული ნაოჭი შუბლსა  
თუ სახეზე გამოსახული გარკვეული ისტორიის შემცველია. დაკოჭრილ-  
დაჭორფლილი ხელები კი ცხოვრების დაუნდობელი სარკია, რომელმაც  
ერთი სავდაც კი არ გვაპატია.

და მაინც, სიბერა ცხოვრების ოქროსფერი შემოდგომაა. ჩემი  
რუბრიკის სტუმრები სწორედ რომ ორი საუკუნის შემოქმედებითი წლების  
უნველყოფიანობით დახუნძლული ადამიანები არიან, რომლებმაც XX  
საუკუნე ახალგაზრდული შემართებით განვლეს და XXI საუკუნეში თავიანთ  
დანამყნებულ წერგზე პატივისა და ღირსების სახით უხვ მოსაპალს  
კრავან.

მაშ ასე, რუბრიკის სტუმრები არიან ქალბატონი მერი აბრამია და ბატონი  
რაზო თოდუა.



ჩუმაღ გეტყვით, ოთხმოცდასუთს  
დაუქქნიე ხელი,  
გამიფრინდა გასაფხული, სილამაზე მწველი  
უკან დამჩნა სიკეკლუცე  
წინაპართა დღეთა,  
ჩემი ცეცქი სულის წვა და  
ცხელი გულის ფეთქვა.  
ღვთის განგებით 85-ს  
მივუხსურე კარი,  
მაგრამ გულში მაინც მძლავრობს  
შენი ტრფობის ქარი!  
დარჩი ჩემთან, ერთად ვთვალთ  
კიდევ ოცი წელი,  
დარჩი ჩემთან, გავაახლოთ  
სიყვარული ძველი!

მერი აბრამია



და არა მარტო ოცი წელი, ქალბატონო მერი, თქვენებრ აქტიური, გონიერი, ჭკვიანი და მოხდენილი ქალბატონი კვლავ ძალიან დიდხანს უნდა ამშვენებდეს სამეგრელოსა და სრულიად საქართველოს ქალთა მშვენიერ გუნდს. თქვენ ხომ კოლხურ მინაზე აღმოცენებული, მადლიანი კოლხეთის ცისა და მიწის ნაყოფით შექმნილი მბრწყინავი სამკაული ხართ, რომელიც ეგრერიგად ამშვენებს ხობსა და ხობელებს. „თქვენ ჩემს პასპორტს რას უყურებთ, ბატონებო, მე მიყურეთ, ვგავარ 82 წლის ძალს?“ — ეს თქვენი

სიტყვებია — არა, სწორედ რომ არა! თქვენ ასაკს ახალგაზრდობა შესძინეთ. თქვენს მხრებზე დათოვლილი 82 წელი ჯერ მხოლოდ ფიფქია, ხვავრიელ თოვლს 100 წლის შემდეგ უნდა ველოდეთ, რომელიც ასე იოლად არ დადნება. „მიუხედავად სოლიდური ასაკისა, იგი შესაშური ენერგიით არის აღსავსე, ჯერაც ახალგაზრდული უამართებით აკეთებს თაჰვის საკეთიბელს ოჯახში, საზოგადოებაში, სამსახურში“, **ნერს ბატონი ბეჟან ნადარაია.**

ქალბატონი მერი მუსიკალურ ოჯახში დაიბადა. ბავშვობიდან მღერის, წერს ლექსებს, რომანებს, მონოგრაფიებს. პერიოდულად იბეჭდებოდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში. უკრავს ყველა ინსტრუმენტზე. სტუდენტობის დროს მღეროდა უნივერსიტეტთან არსებულ ქალთა კაპელაში. მანქანის, ბატონ გველესიანს მისთვის **იმა სუმაკი** უწოდებია, რაც ქალბატონი მერის ხმის მრავალტონანობამ განაპირობა. ეს ჩემთვის დიდი კომპლიმენტი იყო, ისხენებს ქალბატონი მერი.



მეუღლესთან ერთად



ლადო გუდიაშვილთან





ღირსების ორდენის გადმოცემისას



სოლისტი კაჭველაში

თვითონ ცხოვრობდა, ოთხკლასიანი დაწყებითი სკოლა გიმნაზიად გადაკეთდა. აქვე მისივე რუდუნებით აღდგენილ იქნა 16 წლის მანძილზე გაუქმებული საბავშვო ბაღი.

მისი ხელშეწყობით სოფლის ექვსი ხელმოკლე ოჯახის ნიჭიერი შვილები სტუდენტები გახდნენ, და ყველაზე დიდი — მისი თაოსნობით დაიწყო 30-იან წლებში დანგრეული ნმ. კვირიკესა და ივლიტას სახელობის ეკლესიის აღდგენითი სამუშაოები, რომელიც დღემდე მიმდინარეობს.

არის საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი. „ეროვნულ-სამეცნიერო აკადემია „ფაზისის“ ნამდვილი წევრი, მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეას“ აკადემიკოსი, ნმ. ილია მართლის გაზეთ „ივერიის“ სახელობის პროზა-პოეზიის



მერი აბრამიას ქალიშვილი

ლაურეატი. „ქართული ელიტის“ წლის პოეტი მშობლიური სოფლის, გურიფულის „ალიარებული შვილის“ ტიტულის მფლობელი.

ჰყავს სამი შვილი, ხუთი შვილიშვილი და ხუთი შვილთაშვილი.

აფერუმ, თქვენს ქალობას, ქალბატონო მერი, ღმერთმა დაგლოცოთ.

მასალა მოამზადა  
**ნინო რახვიაშვილმა**

პროფესიით პედაგოგია. წლების განმავლობაში ხობის საშუალო სკოლაში ქართულენასა და ლიტერატურას ასწავლიდა. გარდა მასწავლებლობისა სხვადასხვა დროს მუშაობდა კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციებში ხელმძღვანელ თანამდებობაზე. მას იცნობენ როგორც სოფლის მოამაგესა და ქველმოქმედ ადამიანს. მისი ინიციატივით ხობის რაიონის სოფელ გურიფულში, სადაც



# მერი აბრამია

## საქართველოსთვის სწორდით, ბიჭებო!

*ეძღვნება ქვეყნისთვის თავდადებულ ბიჭებს*

მეხი გავარდა სამშობლოს ცაზე  
და დედამიწას მოასკდა სვაფი!  
სიკვდილ-სიცოცხლის ამ განსაუარსზე  
მრისხანედ მოდის რუსული სვაფი!

მოდის და მოაქვს სიკვდილის თესლი,  
რომ მოსპოს ჩვენი ჯილაგი, გენი!  
კვლავაც დაღვაროს სისხლი და გესლი  
და დააჩოქოს ქვეყანა ჩვენი!

ვერ მოესწრებით ჩვენს შეშინებას!  
ვერ გაიგონებთ ქართველის მოთქმას!  
ძარღვებში კვლავ დუღს წინაპართ გუნება!  
ჩვენ ვართ თამარის და ცოტნეს მოდგმა!

საქართველოსთვის, ბიჭებო, სწორდით!  
მერე რაა, რომ მოგცემათ ტუვიამ?!  
ღაჩრულ ცხოვრებას თქვენ მუდამ უმობდით,  
თქვენს ამ სიკვდილსაც სიცოცხლე ქვიან!

ბერაია გოგა - აქ ვარ!  
დათუაშვილი სვიადი - აქ ვარ!  
იოსავა მისეილ - აქ ვარ!  
ტურავა ლევან - აქ ვარ!  
ჭითანავა გოგა - აქ ვარ!  
ხურცილავა დათა - აქ ვარ!  
ქარჩავა გოგიტა - აქ ვარ!  
ჭოჭუა ლევანი - აქ ვარ!

დიას, მწუბრში ხართ, ლომთნაშიერო!  
ვერ მოგკლათ მტრების ვერავა ტუვიამ!  
საქართველოსთვის, ბიჭებო, სწორდით!  
თქვენს ამ სიკვდილსაც სიცოცხლე ჰქვია!

## ღაზ მომღერალს

*ქიზიმ ქოიუნჯუს!*

ჰოუ ნანა, ქაზიმ სკუა,  
ჩქიმ შური და გურიმ ჭუა,  
ღღას ვამპირუქ მას სი, მარა  
გურს ბჭუნქი და მისოფუა?

ჩქინ ქიანაშ უჩა ბედით  
სკან ცხოვრებას უქან ჩუა,  
ნანა ქაზიმ, ნანა სკუა  
მითინ გაზუნს სკანი ჯგუა!

ღაზისტანი ჩქინ დიხა რე,  
ღაზი კოჩი - ჯიმა ჩქინი,  
მოკუ ბძირე სკან ცამარე  
ტემწოდირთი, მუკმოჯინი!

ჩხე ჩილამურს გაჩუქენქი,  
ათემ ვარი ვამიწუა,  
სამარგალაში ტიბუ დიხათი  
გოტინული გურს გოიტბუა.

ჰოი, ქაზიმ, ჰოი ნანა  
ჩქიმ გური დაო მურიმ ჭუა.



**რეზო თოდუა**

ზაფხულის ცხელ დღეს, 28 ივნისს, როდესაც ხობის კოლმეურნეობაში გამალებული შრომა მიმდინარეობდა, სოფელ პირველ მაისში თოდუების ოჯახში თოფი გავარდა. ვაჟია, ვაჟი... ისმოდა გადაძახილები. მეზობლებში დიდი ჩოჩქოლი ატყდა. აკაკის და ტატიანას ოჯახს კიდევ ერთი მომღერალი შეემატაო. ბავშვს რეზო დაარქვეს. მუსიკალურ ჰანგებზე გაზრდილ ბიჭს პროფესიის არჩევა არ გასჭირვებია — კულტურა მისი ცხოვრების მეგზური გახდა.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ყმანვილი სასწავლებლად ქუთაისში წაიყვანეს და ტექნიკუმში საგუნდოსადირიჟორო ფაკულტეტზე ჩაირიცხა.

გავიდა წლები, წითელი არმიის რიგებში იმსახურა და აი, 1964 წელს მშობლიურ რაიონს უკვე მსახიობის ამპლუით დაუბრუნდა. ძალიან მალე, მსახიობობიდან სულ რაღაც ორ წელიწადში რესპუბლიკურ თვითშემოქმედებით კონკურსში I ხარისხის დიპლომი მიიღო. ცოტა ხანში ლაურეატის ნოდებაც უბოძეს, არის საკავშირო ფესტივალის ლაურეატი.

სხვადასხვა დროს მუშაობდა კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელად, დირექტორად, კულტურის ცენტრის განყოფილების მთავარ სპეციალისტად, საშუალო სკოლაში მუსიკის მასწავლებლად, სატირისა და იუმორის, აგრეთვე თოჯინების თეატრის ხელმძღვანელად.

დღეს ბატონი რეზო ფოლკლორული ანსამბლ „კოლხეთის“ წევრი და სახალხო-თატრის მსახიობია.

2015 წელი რეზო თოდუას შემოქმედების გვირგვინი აღმოჩნდა. მას, სრულიად დამსახურებულად მშობლიურმა რაიონმა საპატიო მოქალაქის წოდება მიანიჭა.

გილოცავთ, ბატონო რეზო, ამ ტიტულს, თქვენი შემოქმედებითი წვა არასდროს განულებულიყოს და გველოთ წინ, მხოლოდ წინ, ამაყად, ჯანმრთელად და ხანგრძლივად, მრავალჟამიერ!

**ნიკო რახვიაშვილი**



რეზო თოდუა



# დამსახურებული ლოტბახები



სის სიმაღლე რომ ფსევპიდან იზომება, ეს ვიცით. არადა თანამედროვე ცივილიზებული ცხოვრება ხანდახან წარსულს ნისლად გადაეფარება და მხოლოდ წინ მიიღწვის.

წიგნი, „ხალხური სიმღერის მოამბანი“ ლადო გეგეჭკორის ჩანაწერებზე დაყრდნობით შეიქმნა, რომელიც მთელი სიბრძნე-სიბრძნით ასახავს ჩვენი ფსევპის სიმღერას. მებრძული (და არამარტო) ჯიშისა და გენის გენიალურობას.

გადაწყვეტილი ქართული ფოლკლორის კიდევ უფრო სიღრმისეულად გაცნობის მიზნით შევიქმნათ ახალი რუბრიკა: „რაც დავიწყებით არ იზივდება“ და ყოველ ნომერში შემოგთავაზოთ მებრძული მომღერალი მოჯახები თუ ცალკეული პიროვნებები, ვინც შთამომავლობას ოპროს საგანძურს შემოუნახა.

## კირილე პაჭკორია

ოთხმოცი წლის წინათ, წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიაში შეძლებულ კაცს, ნესტორ პაჭკორიას ვაჟი შეეძინა, მთელი ოჯახი სიხარულით ცას ენია. მამამ პატარა კირილეს ყველა პირობა შეუქმნა ცოდნის შესაძენად. მაგრამ კირილე პაჭკორიას ბავშვობიდანვე გული ხალხური სიმღერისკენ მიუწევდა.



1903-1907 წლებში კირილე ფოთში სწავლობდა; ქალაქის სკოლაში დადიოდა, თან თავისუფალ დროს ავქსენტი მეგრელიძის გუნდში მღეროდა. ხმა თავიდანვე მშვენიერი დაჰყვა, დახვეწილი პირველი ხმა ჰქონდა. ლოტბარი უქებდა შესრულების მანერას და ხალხური სიმღერების საფუძვლიან ცოდნას.

ოჯახური პირობების გამო მალე მშობლები ზუგდიდიდან აფხაზეთის ზღვისპირა ქალაქში, გუდაუთაში გადასახლდნენ და თავიანთი ერთადერთი შვილიც თან წაიყვანეს. აქ ოცდაორი წლის ჭაბუკმა, კირილე პაჭკორიამ 1908 წელს ჩამოაყალიბა პატარა გუნდი და კონცერტები გამართა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აფხაზეთის ფილიალის სასარგებლოდ.

იმ წლებში სოხუმში მუშაობდა და გუნდებს უძღვებოდა ხალხური სიმღერის სახელმწიფო გუნდი მოღვაწე ძუკუ ლოლუა. კირილე პაჭკორია კინი გეგეჭკორთან და რემა შელეგასთან ერთად ძუკუს გუნდში მღეროდა, ტრიოში მკაფიოდ გამოირჩეო-

და კირილეს მშვენიერი პირველი ხმა. ძუკუმ გულით შეიყვარა ნიჭიერი მოსწავლე და წაახალისა კიდევ. 1918 წელს კირილე პაჭკორია მის მიერ ოჩამჩირეში ჩამოყალიბებული გუნდით უკვე თვითონ მართავს საქველმოქმედო კონცერტებს. ამ სარბიელზე მოპოვებულმა წარმატებამ კირილე პაჭკორიას გზა გაუხსნა შემოქმედებითი წარმატებისაკენ.

ძუკუ ლოლუას გარდაცვალების შემდეგ კირილე პაჭკორიამ განაგრძო თავისი საამაყო მასწავლებლის საქმე, დიდი და ნაყოფიერი მუშაობა გასწია და თავისი საგუნდო მოღვაწეობა ახალ სიმაღლეზე აიყვანა.

ოქტომბრის რევოლუციის პირველ წლებში საბჭოთა კავშირის მრავალ ქალაქსა და სამრეწველო ცენტრებში ქართულ ხალხურ სიმღერებზე ოდნავი წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ. მაგრამ კირილე პაჭკორიას დაუშრეტელი ენერჯისა და თავგანწირული მონდომების შედეგად ეს ხარვეზი მთლიანად აღმოიფხვრა.

1927 წელს მოსკოვს პირველად ესტუმრა ქართული გაერთიანებული ანსამბლი, რომელშიც შედიოდა ძუკუ ლოლუას სახელობის დასავლეთ საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო გუნდი კირილე პაჭკორიას ხელმძღვანელობით, მარო და ეკატერინე თარხნიშვილების გუნდი, აგრეთვე — გურული სიმღერების უბადლო შემსრულებლები სამეულ,



ილარიონ ჩავლეიშვილები და ვარლამ სიმონიშვილი. ამ გაერთიანებულ ანსამბლს კომპოზიტორი კოტე ფოცხვერაშვილი ხელმძღვანელობდა. ბრწყინვალედ შესრულდა საქართველოს ყველა კუთხის სიმღერები. გაზეთებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს ჩვენი სახელოვანი თანამემამულის, რუსეთის დიდი მსახიობის, ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოს, რომელიც განსაკუთრებული მონდომებით დაამშვენეს და შინაარსიანი გახადეს ქართველმა მომღერლებმა და ლოტბარებმა.

რუსეთში მოპოვებულმა პირველმა წარმატებამ ისე წაახალისა კირილე პაჭკორია, რომ იგი 1929 წლიდან ხშირად მართავს კონცერტებს საქართველოს სხვადასხვა დაბა-ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში. ძუკუ ლოლუას სახელობის გუნდი კირილე პაჭკორიამ გაამრავალფეროვნა, იგი ქართლ-კახური და გურული სიმღერების უზადლო მომღერლებით შეავსო; ესენი იყვნენ; მიხო ჯილაური, ვანო მჭედლიშვილი, ალექსანდრე მახარაძე, თეოფილე ლომთათიძე, ერმალო სიხარულიძე, ვლადიმერ ბერძენიშვილი, ძმები ევგენი და მიხეილ კოროშინაძეები... 1934 წელს კონცერტები გაიმართა ბორჯომსა და ნალვერში, შემდეგ კი გუნდი ბაქოს ესტუმრა.

1937-1940 წლებში კონცერტები იმართება მოსკოვში, ლენინგრადში, ხარკოვში, მინერალური წყლების საკურორტო ქალაქებში, სომხეთში, უკრაინაში, ყირიმში. ქართველ მომღერალთა გამოსვლებს დიდძალი ხალხი ესწრებოდა. ქართული სიმღერა ყველა ერისთვის გასაგები და ხელმისაწვდომი გახდა. ქართულ ხალხურ სიმღერებს ბევრი თავყვანისმცემელი გაუჩნდა.

1927 წლის იანვარში ქართული ხელოვნების წარმატება მოსკოვსა და ლენინგრადში დიდწილად კირილე პაჭკორიას დამსახურებაა.

იგი შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს. გაზეთებმა აღნიშნეს, რომ კირილე პაჭკორიამ სავსებით გამოავლინა „ხალხური

შემოქმედების სამკაული“ და მას მაღალი ჯილდო ღირსეულად ერგო.

წლის წარმატებას ხელი შეუწყო ავექსენტი მეგრელიძის მონდომებამ და ელენე ჭუბაბრიას ხავერდოვანმა ხმამ; ისინი საპატიო ნიშნის ორდენით დაჯილდოვდნენ. მაშინ გამოვლინდა აგრეთვე ნიკო ხურციას უზადლო ოსტატობაც.

კირილე პაჭკორიას ხელმძღვანელობით სამამულო ომის დროს ჰოსპიტალებსა და სამხედრო ნაწილებში როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში მრავალი კონცერტი გაიმართა.

ომის შემდგომ წლებში კირილე პაჭკორია მისთვის ჩვეული ენერგიით განაგრძობდა მუშაობას. მან მთელი თავისი ძალ-ღონე ახალგაზრდობის აღზრდას შეაღწია.

კირილე პაჭკორიამ ბევრი კარგი მომღერალი და ლოტბარი გამოავლინა. მის მიერ აღზრდილი მრავალი ლოტბარი უძღვებოდა სხვადასხვა თვითშემოქმედ ანსამბლებს. ახალ თაობასთან განუელმა შრომამ სათანადო შედეგი გამოიღო. მის გუნდში ჩამოყალიბდნენ ცნობილი ლოტბარები ვლადიმერ ბაბილუა, ნიკო ჩაჩიბაია, ნიკო ხურცია და სხვა.

კირილე პაჭკორიას ანსამბლის შესრულებით გაეცნო ქართულ ხალხურ სიმღერებს დიდი ფრანგი მწერალი და მუსიკოსი **რომენ როლანი**. ეს 1935 წელს მოსკოვის სიახლოვეს, გორკაში მოხდა. რომენ როლანი მოიხიბლა ჩვენი სიმღერების მრავალფეროვნებით და მაქსიმ გორკის უთხრა: „**მოწაფოქაშული ვარ ქართული ჰანჯაბით. თაპი სიზმარში მგონია. მრავალი ქვეყანა მომივლია, მრავალი სხვადასხვა ერის სიმღერა მომისმენია, მაგრამ ასეთი რთული, პოლიფონიური და კარგი ხალხური სიმღერები არსად მომისმენია**“.

ყოველივე ამის მისაღწევად კირილე პაჭკორიას ბრძოლა უზღებოდა, რასაც იგი თავისი უშრეტო ენერგიის წყალობით ახერხებდა.

**ხანგრძლივი, ნაყოფიერი და უანგარო მოღვაწეობისათვის კირილე პაჭკორიას ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება მიენიჭა.**

## ძუკუ როდუა

დედამისი ჭამჭალა მომღერალი და მეჩონგურე იყო. მამა ადრე გარდაეცვალა. დედას ქალიშვილები უსარსანი და ნოტიო ეხმარებოდნენ. მათ გამოზარდეს ობოლი ძმა, მერე ხელი შეუწყვეს მომღერალთა გუნდების ჩამოყალიბებაში. შესანიშნავი მუსიკალური სმენის პატრონმა არა მარტო ხალხური, საეკლესიო საგალობლებიც ისწავლა და მოღვაწეობაში ჯეროვნად გამოიყენა.

წარსული საუკუნის მიწურულს მარტვილში მომღერალ-მგალობელთა გადასამზადებელ კურსებს დაესწრო და დიმიტრი ჭალაგანიძის, ანტონ დუმბაძის, ანდრია ბენაშვილის, ფილიმონ ქორიძისა და ვალერიან გეგეჭკორისაგან ბევრი რამ ახალი გაიგო და შეისწავლა.

იმავე ხანებში დაესწრო სანდრო კავასაძის გუნდის კონცერტს ქუთაისში და სახელგანთქმული ქართველი მომღერლის, ვანო სარაჯიშვილის ტკბილმა



## ცხოვრება

სიმღერამ და ოსტატობამ მოხიბლა; ამან განაპირობა მისი გადაწყვეტილება – ხალხური სიმღერისთვის მიეძღვნა მთელი თავისი ძალა და ენერჯია.

იმავე 1897 წელს სამეგრელოს სოფ. კოკში შექმნა გუნდი და ქუთაისში გამართა პირველი კონცერტი. ექვსი წლის განმავლობაში მრავალი კონცერტი აქვს ჩატარებული.

მისი მასწავლებლები იყვნენ ზუგდიდელი ივანე ჩომახია, ხაბუმელი თადა გოგუა, აბაშელი ლომინ გუგუშვილი. მათგან მრავალი სიმღერა აითვისა და შემდეგ თავის მოწაფეებს – კინი გეგეჭკორს, რემა შელეგიას, კირილე პაჭკორიას, ვლადიმერ ბაბილუას, მიხეილ ხავთასს, ნიკო ჩაჩიბაიას, სერგი ბაქრაძეს, ნიკოლოზ ხვიციას და სხვებს გადასცა.

თხუთმეტ წელზე მეტ ხანს იღვანა სოხუმში. მაშო დადიანი-ანჩაბაძის დახმარებით და სოხუმელ ქართველ ინტელიგენტებთან თანამშრომლობით

ძუკუ თეატრალურ და მუსიკალურ საქმეს უძღვებოდა. ზაქარია ჩხიკვაძის დახმარებით დააარსა ფილარმონიული საზოგადოების აფხაზეთის ფილიალი, სადაც მდივნად მუშაობდა.


1919 წლიდან ფოთშია. აქ დაარსებული გუნდით მრავალი კონცერტი გამართა სამეგრელოს დაბასოფლებში და ქუთაისში.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იგი საგუნდო საქმის პირველ ინსტრუქტორად დაინიშნა. ასწავლიდა ლოტბარებს, ამხნევებდა კოლეგებს, საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. სიცოცხლეში და გარდაცვალების შემდეგაც ფოთის საზოგადოებამ ჯეროვნად შეაფასა მისი ღვაწლი და არაერთი იუბილეც გადაუხადა.

იგი წერდა და სხვადასხვა დროს აქვეყნებდა პუბლიკაციებს მუსიკის თემაზე.

დაიბეჭდა მისი რამდენიმე მოთხრობა.

# ეხთი ძრე გყჩამ ფიხცხარავას ცხოვრებიდან



**გურამ ფირცხალავა**

ის ყველას უყვარდა. მარტო იმიტომ კი არა, ნიჭიერი და მომხიბვლელი რომ იყო, უფრო მეტად სილამისა და კეთილი გულის გამო. ძნელად შეხვდები კაცს, რომ ეთქვა, - მანყენინაო. ყველას მხიარული და უდარდელი ეგონა, იმიტომ, რომ სხვას არასდროს აწუხებდა და სინამდვილეში დიდხანს და უსაზღვროდ იცოდა დარდი. მისი ცხოვრების სტილიც ხასიათის შესაბამისი იყო: - ხალისიანი და ამავე დროს სევდიანი. აი, ასე აღწერდა ერთ ჩვეულებრივ დღეს ბატონი გურამი.

### ჩემი გარიჟრაჟი

ერთხელ დოდო აბაშიძე, სესილია თაყაიშვილი და რეზო ესაძე ჰყვებოდნენ, ვის რა ასაკიდან ახსოვდა თავი, დოდომ თქვა — კი ბატონო, ტოლსტოის მსგავსად მეც მახსოვს აკვანში ჩემი თავიო. ქალბატონმა სესილიამ თქვა, - მე აკვნიდან არა, მაგრამ ძალიან პატარაობიდან მახსოვს ჩემი ცხოვრებაო. რეზო ესაძემ კი, - მე დედის მუცლიდანაც მახსოვს ყველაფერიო... მე ჭაობები მახსოვს ფოთში, რომელიც ჩვენი და ჩვენი მეზობლების სახლების ირგვლივ ჯერ კიდევ იყო მაშინ. იყო მაგარი ქარი... მერე ქარსაფარები გააკეთეს - ხეები დარგეს. ახლა ის ხეებიც მოჭრეს, შეშა არა აქვს ხალხს და იმიტომ. მოხუცი ქალები მოხვდნენ, წურბელა დამიჭირე, ნენაო. მეც სიხარულით ვუჭერდი. ამიტომაც ყველას ბებიას ვუყვარდი.

დადგა სკოლაში წასვლის დრო. ჩემი პირველი მასწავლებელი ნინა ჩოჩია იყო, რომელიც ძალიან მიყვარდა და მიყვარს. მეორე დედა იყო. მიყვარდა სკოლაში სიარული პირველი ოთხი წელი. მერე სკოლა გამოგვიცვალეს და მეც ავუშვი... სიგარეტის მოწვევა მეხუთე კლასში დავინწყე. ჩემმა მეგობარმა რომ მოსწონია და კინაღამ დაიხრჩო, დამარიგა, კვამლი არ გადაყლაპოო და მეც ასე მოვიქეცი, ამიტომ არ დამახველა... ნელ-ნელა მივეჩვიე. ასე გვეგონა, სიგარეტს თუ მოვწევდით, კაცები ვიქნებოდით.



ვცუღლუტობდით ბავშვები, ვჩხუბობდით. ვინმეს ცუდად რომ შეეხედა მეზობელი გოგოსთვის, არ ვაპატიებდით. ღამით დავძვრებოდით, - ნესვებს ვიპარავდით. მოგვწონდა, რომ ვიპარავდით... დედამ თქვა, - ბავშვი არ გამიფუჭდესო და დედულეთში გამამწესეს, - ლესიჭინეში. საშუალო სკოლა იქ დავამთავრე. სოფელში ქალაქელ სტუმრად ვითვლებოდი და პატივს მცემდნენ. ფანჯრის მინას რომ გატეხდა ვინმე, მე ვიბრალებდი, სკოლის მწე ჩვენი მეზობელი იყო. რ-ს ვერ ამბობდა სანყალი. რომ გაიგებდა, იტყოდა: გულამიმ თუ გატეხა, მე ჩავსვამ მაგასო...

ბავშვები როგორ მიყურებდნენ! თვითმფრინავი გინახავსო? - მეკითხებოდნენ. როგორ არა, კუდზე მოვკიდებოვარ და „მიკატავია“ კიდევ-მეთქი... აუ, რა მაგარი ხარო, - მეუბნებოდნენ.

ერთი მეგობარი მყავდა ლესიჭინეში, სკოლიდან შინ რომ მიდიოდა, ტყე უნდა გაევიღო. ორ ხმაზე ელაპარაკებოდა თავის თავს შიშისგან. ვინც გაიგონებს, იფიქრებს, ორნი არიან და აღარ შემაშინებსო. მეც მეშინოდა ტყეში, მაგრამ ვმღეროდი... ასე ვაფრთხობდი შიშს: რამე არ შეეშალოს ვინმეს, კი არ მეშინია, ვმღერი კიდევ-მეთქი.

## ჩაში დილა

ჯარში წასვლა ბევრს არ უნდოდა, მე კი მინდოდა. დედას ვეუბნებოდი, ჯარში აუცილებლად წავალ და არც გამაცილოთ-მეთქი. გაცილების დროს ტირილი იციან და მაგის ატანა არ შემეძლო. შეიძლებოდა, მეც წამცდენოდა ცრემლი. მარტო ჩემი და მოვიდა სადგურში. ის ჩემ წინ არ იტირებდა. მაგარი გოგო იყო. მურმანსკუმი მოეხვდი. ახლაც არ ვნანობ. საინტერესო და რომანტიკული იყო. რომ ჩავედით ბევრმა ბიჭმა ვერ აიტანა იქაური კლიმატი, სიცივისაგან ტიროდნენ. ვამშვიდებდი ბიჭებს, - რა იყო, მაცივარში არ შეგიყვიათ ხელი-მეთქი? მამაჩემი მუშაობდა სახელმწიფო მარაგის მაცივარში ფოთში და ნამყოფი ვიყავი იქ.

ერთი თვე გაცილებული ვუყურებდი ყველას: რატომ ცხოვრობენ აქ, ვერ წავლენ ფოთში- მეთქი, ვფიქრობდი. მეცოდებოდნენ ის თეთრი ქალები... ყველას ვეუბნებოდი: პრიეჟაიტე ვ პოტი! ვიყურები დაძაბული და ვხედავ. მოედო ცას ცეცხლი. ვეცი ტელეფონს და ვეუბნები:

- ტავარიში ნაჩალნიკ კარაულა, დაკალადივაეტ პირცხალავა, ტაკოი-ტა პოსტი!
- ნუჩიტო უ ტებია ტამ?
- კაკ გარიტ?
- სილნო გარიტ! ჩტო დელატ?
- პატუში! - ასე არ მითხრა იმ ოხერმა? ვიფიქრე, არ სჯერა და მაშაყირებს-მეთქი.
- კლიანუს მამოი! - ვეუბნები.
- ტი ბროს! პატუში!



-კაკ?

-პადუი.

მერე მკითხა, - სკოლაში არ გივლიაო? .. თავში დამარტყა! - შავ-თეთრი წიგნი გამახსენდა, იქ თეთრი ხაზები იყო დახატული და ჩრდილოეთის ნათებააო, - ეწერა. აბა რას მივამსგავსებდი. მერე შემრცხვა და ვიცრუე, ვიხუმრე-მეთქი... ეს ამბავი თეატრალურ ინსტიტუტში ჩაბარებისას მოვყევი. ისე იცინეს, პროზის გამოკითხვა დაავინყდათ. ეს ცალკე ამბავია: ჯარში გაზეთი ვნახე, თეატრალური ინსტიტუტი მიღებას აცხადებდა და გადავწყვიტე, ჩამეხარებინა. მომეწონა, რომ არც მათემატიკა ბარდებოდა, არც ფიზიკა და ქიმია. ჩამოვედი ადრე ჯარიდან. ფოთშიც ვერ მოვასწარი წასვლა, სამხედრო ფორმით მივედი გამოცდებზე. ღამეს სადგურში ვათევედი, ნათესავი კი მყავდა თბილისში, მაგრამ მისამართი არ ვიცოდი.

ბარდებოდა სპეციალობა. მეკითხება კომისიის ერთ-ერთი წევრი, ეტიუდი გაქვსო? არა მეთქი... მე მოგცემო. მომცეს დავალეხა. შევასრულე და მივადექი იმ კაცს. ეტიუდი-მეთქი? ხომ მოგეცო. მერეღა მივხვდი, რა იყო ეტიუდი.

ნაკითხული მქონდა გაზეთში, მომეთხოვებოდა ლექსი (კითხვა), პროზა (კითხვა)... ვიფიქრე, ნაკითხვას რა უნდა-მეთქი. გამოცდაზე კი ზეპირად არ მომთხოვეს? „ელეგის“ ერთი კუპლეტი ვიცოდი და მივაყარე, არ დამავინყდეს-მეთქი. ბაბულია ნიკოლაიშვილმა გამაჩერა, ასე არაო. იმან რომ ამიხსნა, იმ ახსნილით გავედი გამოცდაზე. ღამე სადგურზე „ელეგია“ და იგავ-არაკიც ვისწავლე და ჩავაბარე. პროზა ხომ არ შევიდა თავში! ვთხოვე ღმერთს ( რა თავხედი უნდა იყო, რომ ეს სთხოვო): ლექსს ხომ წავიკითხავ, იგავსაც და ეს პროზა დავავინყდეთ, რა იქნება-მეთქი. ადგა ერთი გამომცდელი და ჯარში სად იყავი, რა იყო დასამახსოვრებელიო. მაშინ მოვყევი ცისა და ხანძრის ამბავი. დაიხოცნენ სიცილით.



**ჩაბი შუაღლა**

არა უშავდა მონადირე ვიყავი. ერთხელ თოფი გამისკდა და თითი წამანყვიტა. ჩემი თოფი მეზობლებსაც დაჰქონდათ სანადიროდ. ეტყობა, ზეთიანი ნაჭერი ჩადეს ლულაში და ამოღება დაავინყდათ. მე არ ჩამიხედავს. გადაღებაზე ვიყავი და დაღლილი წავედი სანადიროდ. ვესროლე როჭოს და აფეთქდა თოფი. ერთი თითი წამანყვიტა, მეორის ნაჭრა უნდოდათ და არ ვქენი. ჩემი ძმაკაცი იყო ქირურგი, გოგი მელიქია და ვუთხარი, არ მომაჭრამეთქი. შემინარჩუნა თითი. დღესაც რომ ვხვდები, ვაჩვენებ: - აი, შენი გადარჩენილი თითი, ეს რომ არ მქონოდა, ჭიქას კარგად ვერ დავიჭერდი-მეთქი.

ისე, კარგი მსროლელი ვიყავი... პროფესიაში? - ყველაზე პოპულარული ჯარში ვიყავი. იქ ყუთების ქარხანაზე შეფობა გვექონდა აღებული. სულ ქალები მუშაობდნენ, - მზის უნახავი თეთრი ქალები. იმათთან ვიმღერე „სულიკო“, იყო ტაში და ოვაციები. იქ ამბავი იყო ! ასეთი პოპულარობა მას მერე არ მქონია. - არც კანში, არც ნიცაში, არც თბილისში.

ძალიან მიყვარდა შოთა მანაგაძესთან მუშაობა. „ტექსელში“ და „დაბრუნებაში“ გადამიღო. ზღაპრული კაცი იყო. ძალიან მიყვარს ხის დარგვა. კინოსტუდიის ეზოში ატამი დავრგე, მერე მოჭრეს ისიც და სხვების დარგული ხეებიც. მიყვარს ძაღლები. დღესაც მახსოვს ჩემი „ბუიანი“. სანადიროდ წაიყვანეს. მითხრეს, ტყვია მოხვდა მერე კი ლიანდაგზე დადეს და მატარებელს გაატანინესო. არ მჯერა, ალბათ, მართლა მატარებელმა გაიტანა... მეორე ძაღლი კურცხალა მყავდა. დარბოდა უპატრონოდ. გავაღე კარი და შემოხტა. ოთხი თვე ვაცხადებდი. არ გამოჩნდა პატრონი. ავდექი და წავიყვანე ფოთში. არეულობა რომ იყო, ავტომატების კაკანი დაუწყიათ. ეს ძაღლმა გაიგო და მეორე სართულის აივნიდან გადახტა თურმე. წელში გადატყდა და მოკვდა. მაშინ ვთქვი, ანი ძაღლს არ ვიყოლიებ ან თუ ვიყოლიებ, სულ ჩემთან მეყოლება-მეთქი.

**ჩაბი მიმწუსრი**

დედა რომ მოუკვდებოდა, ბიჭები მერე სხვანაირად იწყებენ ფიქრს. ახლა ხშირად ვფიქრობ დედაზე და ვწუხვარ, რომ ისე არ ვეფერებოდი ბიჭობაში, როგორც ეკუთვნოდა. მოხუცს კი ვიკრავდი გულში... ერთ ადგილას დიდხანს ვერ ვჩერდებოდი და სულ გავრბოდი. ახლა ამასაც ვწანობ... უფრო ხშირად ვყოფილიყავი მასთან, რა იქნებოდა!

მამა გულში ჩახუტებული მყავდა და ხელში ჩამაკვდა. 74 წლისას სარკომა გაუჩნდა. ჩემი ძმაკაცია რეზო გაგუა. პირდაპირ მითხრა: - გურამ ამას არ შევლის არაფერიო. ორი თვე ვიცოდი ეს, გავდიოდი სხვა ოთახში, ცრემლი რომ დამემალა, ჩემმა დამ მითხრა, იმ დღეს მამას უთქვამს: გურამს არ უთხრათ, 9 საათზე მოვკვდებიო. ვერმიშელის წენიანი მოითხოვა და გამიხარდა, იქნებ გადავრჩით- მეთქი. იმ საღამოს 9 საათზე ხელში ჩამაკვდა. იცოდა, ყველაზე მეტად მე განვიცდიდი... კარგად მიცნობდა. ბევრს ჰგონია, უდარდელი ვარ. არაა ასე. მანამდე მეგობარი მომიკვდა, - ბენო. კინალამ მოვკვდი, იმდენი ვიდარდე. მერე ძმა დავკარგე. ღვინო მშველოდა. ბავშვობაში ბებიაც მომიკვდა, მაგრამ მაშინ სხვანაირად აღვიქვამდი ამას. სიკვდილსაც ერგევა ადამიანი. ახლა ვფიქრობ: სიძულვილი არავისგან მიგრძნია. ყველასთან სიყვარული მაკავშირებდა. ზოგჯერ კი განვხიბლულვარ... შური თეატრში ვიგრძენი. როლი სულ არ მინდოდა, მეზარებოდა მუშაობა. იმათ კი უნდოდათ და იყო ერთი ამბავი. ბავშვობაში ჯერ გემის კაპიტნობა მინდოდა. დედაჩემმა გამოაცხადა, - სად მყავს ოკეანეში დასაკარგი შვილიო. მერე მფრინავობაზე ვოცნებობდი და ისეთი წერილი მომწერა ჯარში, გადამაფიქრებინა. ახლა ჩემი მეგობარი ამირან მანჯავიძე მეუბნება, - მოდი და რამდენიც გინდა, იფრინენატახტართანო. შემემინდა: ამ სიბერეში რა დროს ფრენაა, უკვე დამჯდარი ვარ! თვითონ უნდა გაილამაზო მწუხრის დღეები. კინოსტუდიიდან კი ყველანი გავყვარეს, მაგრამ მაინც გავივლი ხოლმე, ვნახულობ მეგობრებს. მწუხრისას უნდა საზრუნავი გაიჩინო, მე დავდივარ და ახლობლებს ვეხმარები...

**ჩაბი ლაპე**

მიფიქრია სიკვდილზე. გინდა თუ არა სამოციის მერე ამაზე ფიქრობ... ცოდევა ისაა, ვისაც ახლობლები არ ჰყავს იქ და თვითონ პირველი კვდება. მე იმდენი ჩემიანი მყავს იქით, სულ არ მეშინია... უბრალოდ, მეზარება სიკვდილი... ვერ ვიტან, შეცხადება რომ იციან. მინდა ვუთხრა ჩვენებს: ნივილ-კვილი არ დავინახო აქ ამბობენ, თუ სიკეთე გაქვს გაკეთებული, ძალიანაც კარგია საიქიოშიო...

**გზავნილი**

ახლა მწუხრის დროა. მეგობრებს მინდა ვუთხრა: - ნაკლები დალიეთ და მოსწიეთ! გავიხანგრძლივოთ, ბიჭებო დრო! გაუძელით!



# ნუცას ბაღი

ნიგნიდან „ლუარა ქანტურიას კვალდაკვალ“

„ნისლი ეელსე მოხვევია  
წამბახსა და შრომანს,  
ყვავილების სილამაზე  
ბურუსშია ც მოსჩანს“.

ეს ნუცა მიქავას ხელით დარგული ზამბახისა და შრომანის დუეტი, რომლებიც მზის ფარდაზე, ფერად-ფერადი ღილაკებით მოსჩანს. უამრავი, სხვადასხვა ჯიშის მცენარეა ირგვლივ, მათ ყველას ერთი სახელი ჰქვიათ — ნუცას ბაღი, სიყვარულის და სილამაზის სავანე — ნამდვილი კოლხური ეზო-კარ-მიდამო. ფრთაშია პეპლებისა და ტკბილი ნექტარით გაჯერებული ყვავილების ქორნილი, დილის ცვარ-ნამით გაჯერებული ყაყაჩოების ხასხასა ფარჩა, იებისა და ენძელების „მინდვრის ლურჯი მძივების“, „საამური ზღაპარი“, ლამაზ ფერთა მთოველის“ გაზაფხულის შემოქმედის მიერ მოქარგული არემარე.

დგას პატარა, ყვავილივით ლამაზი გოგონა სამოთხის ბაღში და ჯადოსნური სილამაზით ტკბება.

„ყვავილი რომ მღერის ბაღში,  
მზე იცინის, შაშივი გალობს,  
ნუციკო კი ტაშს უკრავს და  
მათთან ხმის შეწყობას ღამობს“.

ნუცა ბებო ბაღში კვიცივით მოკუნტრუშე გოგონას ბუნების ენით ესაუბრება, თითოეული მცენარის სათქმელს ბავშვური ენით უხსნის. ნახე, ბებო, როგორ აყვავდა ბაღი, — ეუბნება მოსიყვარულე ბებო შვილიშვილს:

„აწრილიდან მზის სხივებმა  
ყვავილები გააღვიძა  
მთა და ბაწი გაათბო და  
წამთრის სუსნი დაავიწყო.  
-კვირტებს ნაზად მოეფერა,  
აკვირვანდა ტყე და ჭაღა,  
არე-მარე გააცოცხლა  
ყვავილებიც გაიშალა“.

ამასობაში ღობის ძირში გადაჭრილ ხის კუნძზე უღონოდ ამოსული სოკოები შენიშნა: ბებიამ შვილიშვილს მათკენ მიუთითა:

„ქოლციანი სოკოები  
სულ ღრუბლებზე მღერიან  
წვიმას, როგორც ანლობელს  
ისე ელოდებიან“.

ნუციკო სოკოებს მოეფერა და ტიკტიკით ამოთქვა: — ბებო, სოკოებს წყალი სწყურიათ?

— კი შვილო, გიორგის ვუთხრათ, დიდი ბიჭია, დოქით წყალს მოიტანს და შენუხებულ სოკოებს დაარწყულებს. ნუციკო, ზემოთ აიხედე, ხედავ ცაზე რამდენი ღრუბელია? მათ შენი საუბარი მოისმინეს და სოკოებსაც სურვილი აუხდებათ.

— ეგ როგორ ბებო?

— ღრუბლებს პირში წყალი აქვთ დაგუბებული, გაბრაზდებიან, პირს დააღებენ და ჩვენი სოკოებისა და ყვავილებისთვის უკვდავების წყაროს ჩამოუშვებენ დედამინაზე:

„წამოვიდა უცებ წვიმა,  
წვიმა ცელქი წანწკარა“,

ამ წანწკარა, ცელქმა წვიმამ ნუცას ბაღი მეტად გაახარა. ბებია და შვილიშვილები ერთად უვლიდნენ მცენარეებს, ნუცა ბებო გიორგის მშვილდისარსაც უკეთებდა, მათი სიყვარულით ხარობდა ეზო-ყურე, ნუცას ბაღში ყველა ბედნიერად გრძნობდა თავს, თუმცა ჰოი უბედურებავ, ოჯახის საყრდენი არა მარტო ადამიანებისთვის შეირყა... 4 იანვარს ნუცა მიქავა გარდაიცვალა, ობლად დარჩენილმა ბაღმა ძაძვებით მოსილი ფარჩა მოირგო, ყვავილებმა პირი შეკრეს, გაზაფხულს უბრად შეხვდნენ და სანათესაოს არაერთი მცდელობისა ბაღი ვერასგზით გამოაცოცხლეს.

ამ დროს კი ქალბატონი ნუცას საფლავი ეზოდან გადარგული ყვავილებით ხარობს. მათზე მზრუნველი ქალბატონი, სათნოებით აღვსილი, ქალბატონი ნუცა მარტო არ დატოვეს, ხალისი და სიცოცხლის შარმი თან გააყოლეს. „აგავა“ პრეტენზიული მცენარე საფლავზე თავდავინყებით ჰყვავის, ეზოში კი მისი დობილი ყურებჩამოყრილი დგას და პატრონის გარდაცვალებას გლოვობს.

სოფელი შფოთავს. ვერ გაუგია რა ხდება, ნუთუ გლოვა მცენარეებსაც შეუძლია? შეუძლია და თანაც როგორ, ნუცას თან გაჰყვა ყვავილების გუნდი, რომლებმაც გულზე დაყრილი მინა ნაირფერად მოუქარგეს.

ნუცას საფლავის ამბავი მთელ ჯვარს აოცებდა. ამ ღვთისნიერმა ქალმა ხალხი ცისა და მიწის ერთიანობაში დაარწმუნა.

გავიდა დრო და კვლავ აყვავდა ეზო. მისი მესაიდუმლე მცენარეები გაზაფხულზე სიცოცხლის დღესასწაულისათვის მოემზადნენ. ყვავილების მეჯლისმა მნახველები აღტაცებაში მოიყვანა. ნუცა მიქავას სულის უკვდავსაყოფად ბაღის ბინადართ მარადიული სიცოცხლის უკვდავების კოცონი დაუნთიათ, გამოფხიზლდა ყველა და ყველაფერი, ქანტურიებისას სიცოცხლემ აფრა აუშვა, ბაღი ერთგულად სდარაჯობს ქალბატონი ნუცას სულის უკვდავებას.

ნიგნი რედაქციის მიერ

# პიპი სისარულიძე



## ნოველები

### წიგნიდან „ვათაყმა შენს საქმეს, ლუძიკო“

## ნითელფეხება მსხიდი

ზამთრის სუსხზე გამარჯვებულმა გაზაფხულმა ფეხი მოიკიდა. ვარდობის თვე იდგა. გარიჟრაჟზე, როცა მთვარე ცის კამარიდან მზის სხივებმა განდევნეს, ქვეყანას ნათელი მოეფინა. ძღვევამოსილებით გათამამებული მზე უხვად აფრქვევდა გარემოს სხივებს და თავის ჯადოსნურ ბადეში ხვევდა სამყაროს. ბუღბუღთა საამური გალობა ისმოდა ირგვლივ. სიცოცხლის სიმფონია ჟღერდა დიდ ჯიხაიში. ლამაზ დროს დაიბადე, შვილო, ამიტომაც ხარ ასეთი ლამაზი და ჭკვიანი — ასე აღმინერდა დედა ჩემს დაბადებას.

მის მიერ ნათქვამი სიტყვები გულზე ვარდად მეფინებოდა. პატარა ვიყავი, დედის ყოველი სიტყვის მჯეროდა, ამიტომაც ოჯახისგან განეზივრებული სოფლის გოგო-ბიჭებში დეებთან მამალივით მედიდურად დავაბიჯებდი.

ჩვენს სოფელში, კვირაში ერთხელ, ღამით სახალხო დღესასწაული იმართებოდა, რომელსაც ჯარიანობა ერქვა. მე რადგან პატარა ვიყავი, დღესასწაულზე არავის მივყავდი.

ერთ დღეს ჩემმა უფროსმა ძმამ, ამჟამად ცნობილმა მეცნიერმა, პედაგოგიკისა და ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა გიორგი (იური) ბიბილეიშვილმა დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ დღესასწაულზე წამიყვანა. ატყდა ერთი ცეკვა-თამაში. გოგო-ბიჭები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. ერთ ადგილზე ვეღარ ვჩერდებოდი. თითქოს რაღაც ძალა მიბიძგებდა, მიდი, ბიჭო, მიდი, შენისთანა არწივივით ბიჭუნას ადგილი მაყურებლებს შორის კი არა, სცენაზეაო. უმაღვე მოცეკვავე გოგო-ბიჭებს შორის აღმოვჩნდი, მთელი მონდომებით გავუსვი და გამოვუსვი. ტაშის გრიალმა იქაურობა გააყრუა. „ყოჩაღ, ბიჭო, ყოჩაღ“, გაიძახოდნენ აქეთ-იქიდან. მოცეკვავე კი არა, ნამდვილი მეტეორი ხარო. მე კიდევ სიხარულისგან ლამის ზეცაში ვფრენდი. მხოლოდ მაშინ გამოვერკვიე, როცა ჩემმა ძმამ სიყვარულით თავზე ხელი წამომარტყა და ყური ამინია, — შე პატარა წრუნუნა, ამხელა გოგო-ბიჭებს შორის ჩახტომა და ცეკვა-თამაში როგორ გაბედო. მერე ჩინეთის

გამარჯვებული იმპერატორივით, მხრებზე შემისვა და სახლამდე ასე მიმიყვანა. აი, ამ დღეს ჩაისახა ჩემში ცეკვის სიყვარულის ნაპერწკალი, რომელიც შემდგომ ისე გაღვივდა, რომ ჭიაკოკონასავით მოედო სულსა და გულს.

ამ ამბის შემდეგ სოფელში მოცეკვავის სახელი გამივარდა.

მახსოვს, პირველ კლასში ყველა საგანს ერთი მასწავლებელი გვასწავლიდა. ძალიან გვიყვარდა ფიზკულტურის გაკვეთილები. როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ სპორტთან ერთად მასწავლებელი გაკვეთილზე ქართულ ხალხურ საკრავებზე დაკვრას გვასწავლიდა, ვცეკვავდით, ვმღეროდით.

ერთხელ მასწავლებელმა ეზოში გაგიყვანა. მოვიღხინეთ. მასწავლებელმა მითხრა, აბა, ჩვენო სახელგანთქმულო მოცეკვავე, პატარა ილიკო სუხი-შვილო, მოდი ერთი მოხდენილი ქართული დაუარეო. უმაღვე წრეში შევვარდი, გავუსვი და გამოვუსვი.

ახალი ნაწვიმარი იყო, ისედაც გათამამებულ ბიჭს ბავშვების შეძახილი გამბედაობას მმატებდა: „გაუსვი, ბიჭო, ქართულად გაუსვიო“. მეც ცეკვა-ცეკვით ნელ-ნელა გუბეში აღმოვჩნდი, მივხვდი, რომ სველ მიწაზე გასმა უფრო გამიადვილდა. ვცეკვავდი, თავდავინყებით ვცეკვავდი, მეგონა მიწას მოვწყდი და ზეცას ვეცეკვები-მეთქი.

ცეკვის შემდეგ ფეხის გულები მთლიანად გამნითლებოდა. მოგეხსენებათ, დიდ ჯიხაიში ნითელმინა ნიადაგი სჭარბობს, უცებ მასწავლებელმა ხელში ამიტაცა, ჩამიხუტა, მაკოცა და ყველას გასაგონად იყვირა: „ჩემო პანუნია, ნითელფეხება მშვიდობის მტრედო, ჩემო მშვიდობის მტრედოო“. გოგო-ბიჭებმა იმ დღიდან ნითელფეხება მტრედი შემარქვეს, თავიდან ცოტა ვბრაზობდი. ერთხელ ჩემმა კლასელმა გოგონამ მითხრა, თემო, ნუ ბრაზობ, ყვავს ხომ არ გეძახით, ულამაზესი ნითელფეხება მტრედი შეგარქვითო. იმ დღის შემდეგ დავფიქრდი და სახელიც შევიფერე, თანაც ისე, რომ თემური აღარც მესმოდა.

რამდენიმე წლის შემდეგ ოჯახთან ერთად ქ.



ბათუმში გადმოვედი საცხოვრებლად. დიდი სურვილი მქონდა ცეკვის წრეზე მევლო, სადაც პედაგოგი გივი ჩიხლაძე გახლდათ. თუმცა მოგესხენებათ, სურვილი ერთია, შესაძლებლობა მეორე. რადგან სოფლიდან ახლად ჩამოსული ბიჭი ვერ ვბედავდი ცეკვის წრეზე შესვლას, ამიტომ სიმღერის გუნდში ჩავეწერე, რათა ცეკვასთან ახლოს ყოფნის შესაძლებლობა მქონოდა.

ვიდექი მათ გვერდით და ვგრძნობდი, რომ ჩემი სული მოცეკვავებთან, სცენაზე ტრიალებდა. რამდენჯერმე ვიფიქრე, სოფლის მსგავსად, მოდი აქაც წრეში შევევარდები და ისეთ ცეცხლს დავანთებ, ყველას გავაკვირვებ-მეთქი, მაგრამ რატომღაც ვერ ვბედავდი. რა ვიცოდი თუ წინ ასეთი მომავალი მელოდა.

## ბადახილი საბაბიუხო

ერთხელ ბატონმა თემურ ბიბილეიშვილმა ოჯახში სტუმრად მიმინვია. ზღურბლს გადავაბიჯე თუ არა მივხვდი, რომ ცეკვის სამყაროში ვიმყოფებოდი, სადაც ხელოვნებასთან ერთად სიტბოს და სიყვარულის კოცონი გიზგიზებდა. ადვილად აღსაქმელი აღმოჩნდა ოჯახის წევრების ურთიერთდამოკიდებულება, თუ როგორ ეფერებოდათ შვილიშვილები და შვილთაშვილები უფროსებს. მთელმა ოჯახმა სასტუმრო ოთახში მოიყარა თავი. შევხედე თუ არა მის შვილთაშვილს, უნებურად წამომცდა — გემრიელა, როგორ ხარ-მეთქი? 12 წლის ლამაზი პირ-სახის გოგონას ლოყებზე სინითლემ გადაჰკრა, უცბათ მეორე შვილთაშვილი გამოჩნდა, უმცროსი ასაკის, შენ როგორღა ხარ, ჩემო ნებიერა-მეთქი? ოჯახის წევრები ჩემ მიერ შერქმეულმა სახელებმა გააკვირვა. მათმა დიდმა ბაბუამ, ჩემმა მეგობარმა, თემურმა თვალებში ჩამხედა და მითხრა: ბიჭო, გივი, ამ კუდრაჭებს ისეთი სახელები შეარქვი, თითქოს ჩემ სულში ჩაგეხედოს. ესენი ორივე ჩემ ოჯახში იზრდებიან. მათი მამაც ვარ, ბაბუაც და დიდი ბაბუაც. ესენი არიან ჩემი ცხოვრებისა და სულის გამცისკროვნებლები. მათ გარეშე არც კი ვიცი ჩემს ცხოვრებას რა ფასი ექნებოდა. უცებ საუბარში მისი სახელმწიფო ანსამბლის ქორეოგრაფი, შვილიშვილი თამთა კერვალაშვილი ჩაერთო. ბატონო გივი, ბაბუა სტყუის, მას სამი საფიცარი აქვს ქვეყანად, I ადგილზე ცეკვა, II ადგილზე ცეკვა და III ადგილზეც ცეკვაა. აი ყოველივე ამის შემდეგ მისი სიცოცხლის შემამკობლები ნამდვილად შვილთაშვილები არიან, რომლებსაც თქვენ დღეს გემრიელა და ნებიერა შეარქვითო.

მოკრძალება, სინაზე, სინატიფე, სიყვარული და ვნება მაგრძნობინეთო, სახლში ჩემს მიმართ რატომ იგივეს არ გამოხატავ, თუ მე ქალად არ მთვლი- მეთქი?

თემურს ჩაეცინა, შემომხედა და მითხრა: ყველაფერ იმას, რასაც ბავშვებისგან ქალთან დამოკიდებულებაში ვითხოვ, ერთად აღებული შენ ხარ, ჩემო სიცოცხლის მტრედოო, მითხრა და გულში მაგრად ჩამიკრა. სინამდვილე თქვა ჩემმა შვილიშვილმა თამთამ. თემურს ყველანი ძალიან ვუყვარვართ. ასეთი მეუღლე, მამა და ბაბუა ქვეყნად ჯერ არ დაბადებულა, მაგრამ ჩემი მეუღლე ცეკვის ფენომენს მონად უქცევია. ცეკვით იწყება, ცეკვით გრძელდება და ცეკვით მთავრდება თემურ ბიბილეიშვილის ცხოვრების არსი.

ჩამეცინა, რადგანაც მივხვდი, ეს ულამაზესი ქმნილება სრულ ჭეშმარიტებას ღაღადებდა. ხოლო როცა თემურის უმშვენიერეს მეუღლეს გავესაუბრე, ღიმილით მითხრა: ჩემო გივი, მთელი ღამე ძილში ხმამაღლა ყვირის: აბა, მარჯვნიდან დაუარე, შენ მარცხნიდან შემოდი, თქვენ კი პირდაპირ, ქალისადმი მოკრძალება, ვნებათაღელვა და უდიდესი ტრფიალი ვიგრძნო თქვენს მოძრაობაშიო და ასე გრძელდება უსასრულოდ.

უცებ თვალები ჭინკებით ამევსო და უკვე ქალობაში შესულ ნებიერას დედიკოს, თემურის შვილიშვილს, თამთას ბავშვური კითხვა დავუსვი: — თამთა, შენ ბაბუსთან ქორეოგრაფად მუშაობ, ე.ი. ცხოვრების დიდ ნაწილს ბაბუსთან ერთად ატარებ, მართალი მითხარი, ვინ უფრო მეტად გიყვარს, ბაბუ თუ დედა? თამთამ სევდიანი თვალებით ჯერ ბებოს შეხედა, მერე მე და მიპასუხა: ბაბუც ძალიან მიყვარს და დედაც, თუ კი დღეს მე რამეს წარმოვადგენ, რა თქმა უნდა ბაბუს სიყვარულის და პროფესიონალიზმის წყალობაა, დედა ჩემთვის და უფროა, ვიდრე დედა, ხოლო ჩემი სულის ნაწილი, ჩემი სიყვარული, ჩემი ედემის ბალი და ამ ბაღში ამოსული შირაზის ვარდი, ჩემი გამზრდელი ბებოა. მზერა თემურის მეუღლისკენ გამექცა, რომელიც იმ ხანად შეუძლოდ იმყოფებოდა. ვხედავ, ქალბატონს თვალები ცრემლით ავესო. ჩემდა უნებურად თავი იქვე, კედელზე ჩამოკიდებულ ღვთისმშობლის ხატთან დავხარე, მუხლი მოვიყარე და ჩუმად ჩავილაპარაკე: მადლობა ღვთისმშობელო შენს ძალას, რომ ჩემი თვალთ მანახე სიცოცხლეშივე გადახდილი სამაგიერო-მეთქი.

მერე თამთას მივუბრუნდი, ჩემო თამთა, შენ დღეს მე და ბებოს ისეთი საჩუქარი გაგვიკეთე, რასაც აუნაზღაურებელი სიკეთე ჰქვია. ამ საჩუქრის მადლს უკან ვერასდროს დაგიბრუნებთ. შენ კაცობრიობას შეახსენე, თუ რა დიდი ძალა აქვს ღვთისგან ბოძებულ უდიდეს ნიჭს, რომელსაც სახელად მადლიერება ჰქვია.

**გივი სინარულიძე**



# გიორგი ნოდიას ლიტერატურული გამოვლენა

„ნოდარ დუმბაძეს ძალიან კარგი ტექსტებიც აქვს, მაგრამ ის იყო ლპობის ეპოქაში შესული საბჭოთა ტოტალიტარიზმის იდეურ ლაბირინთებში

**„დათა თუთაშხია“  
ძალიან სუსტი ნოვანია:  
გამიჭირდა მისი ჰიროანი  
ნაწილის ბოლომდე მიყვანა**

ტრაგიკულად დაბნეული პიროვნებაა. კრიმინალური „გაგების“ რომანტიზაცია ნამდვილად იყო ამ ლპობადი ტოტალიტარიზმის ქართული ვერსიის ერთ-ერთი გამოვლენა და დუმბაძეს აქვს შეტანილი ნვლილი მის ლეგიტიმაციაში.

ჭაბუა ამირეჯიბის პროზაც ამ სინდრომის გამოხატულებაა, მაგრამ ლიტერატურულად გაცილებით ნაკლებლირებული. „დათა თუთაშხია“ - ძალიან სუსტი რომანია: გამიჭირდა მისი პირველი ნაწილის ბოლომდე მიყვანა და თავს ვერ დავაძალე,

**„გვიდის ჰენანგი“ მოვა-  
ლოვის გამო ნაპიკითხა,  
სწალიან უხადნაჟი  
ტუქსტია.**

მეორე ნაწილი (ან ამ მწერლის რომელიმე სხვა ტექსტი) წამეკითხა...

კონსტანტინე გამსახურდია რატომ ითვლება დიდ და გამოჩენილ მწერლად, საერთოდ არ მესმის. მახსოვს, „დიდოსტატის მარჯვენაში“ რალაც

ადგილები მომეწონა, „მთვარის მოტაცებაში“ - გაცილებით ნაკლები, „დიონისოს ლიმილზე“ ლამის ცუდად გავხდი (ლოგინად ვიყავი ჩავარდნილი და იმიტომ ნავიკითხე საერთოდ), ხოლო „დავით აღმაშენებლის“ ნაკითხვის მცდელობა თავიდანვე ჩამივარდა: ეტყობა, ამ ცხოვრებაში ველარ ნავიკითხავ, მერე ვნახოთ. აქვე დავამატებ, რომ ჩემი აზრით, მერაბ ბერძენიშვილის(!) მიერ შესრულებული მისი ქანდაკება ე. წ. გეგეშიძის ბაღში (თავისი გმირის მიმართ აშკარად ირონიული) კარგად გამოხატავს კონიას პიროვნებას.

გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგი“ მოვალეობის გამო ნავიკითხე, სრულიად უბადრუკი ტექსტია. ჯანდაბას, რომ ეს კაცი აშკარა ფაშისტი იყო, მაგრამ საშინლად უნიჭო რომ იყო?..

**„დიდოსტატის მარჯვენაში“  
ნალს აზვიდაჟი მოგანონა,  
„მთვარის მოტაცებაში“  
- გახიდაჟით ნაქდაჟი,  
„დიონისოს ლიმილზე“  
ღამის სულე გავხდი**

თუ არსებობს „ყველაზე დიდი ქართველის“ ნომინაცია, ასეთი ილია ჭავჭავაძეა, მაგრამ დიდი ვერაფერი პოეტი იყო... ძალიან გამიხარდა ნიკა გვარამიას პოსტი, დავით კლდიაშვილი ყველაზე მაგარი ქართველი მწერალიაო. მეც ვთვლი, რომ ძალიან მაგარი და დაუფასებელი მწერალია და არ ვიცოდი, რომ ჩემნაირად სხვებიც ფიქრობდნენ. „ბაკულას ლორები“ ძალიან კარგად გამოხატავს ჩვენს სიტუაციას დღესაც და ისევე „ორნაქმარები და უშვილო საცოლის ძიებაში ვართ ერი...“



# ნინო რეხვიაშვილის პასუხი გია ნოდიას

## შეგლავი კლასიკური მხარობა

ვინ არის გია ნოდია, რომელმაც ქართველი კლასიკოსები სირცხვილის ზოძიე გააკრა?! – ფილოსოფოსი და პოლიტოლოგი?! თანაც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი?! მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის თავმჯდომარე?!


– მამ თუ ასეა, ამ დალოცვილს, რა გაუჭირდა მსოფლიოში აღიარებული ქართული კლასიკური მწერლობის ფსიქოლოგიურ სიღრმეში ნვდომა და თუ მართლა ვერ იგებს, ხომ შეეძლო თავის საუბიექტური აზრი სააშკარაოზე არ გამოეყენა. რას ემსახურება ყოველივე ეს? რატომ გააკრა სირცხვილის ზოძიე ქართული ლიტერატურის ფუძემდებლები, კლასიკოსი მწერლები, რა იმალება ამ აღიარებითი ჩვენების მიღმა?! – თუ კიდევ უარესი – ქართულის, ეროვნულის ხაზგასმა და განადგურება?! სირცხვილია ამ ყოველივეს რომ ჩვენი ახალგაზრდობა ისმენს, თაობა, რომელსაც ნიგნი ნაკლებად უყვარს, მოუსმენს ამ ასაკისა და რეგალიების მქონე ადამიანს და შესაძლოა, ზრმად დაეთანხმოს კიდევ, რამეთუ დარწმუნებული ვარ, სამსუხაროდ, აი იმ ზუმბერაზი ადამიანების შემოქმედება, რომლებიც ბაჭონმა ნოდიაში მინასთან გაასწორა, ზავშვების გარკვეულ რაოდენობას ნაკითხული არა აქვთ. ისინი როგორ უნდა შეეღავონ მას, მხოლოდ გაგონილ-მოსმენილით?

ამიტომ, ზაჭონო ნოდია, იმის ნარვლად, რომ ჩვენს ახალგაზრდებს ნიგნიერებისა და გონიერებისაკენ უბიძგებდეთ (თქვენ განათლების მინისტრი ბრძანდებოდით), პირიქით, მათი ტვინების გამორეცხვა დაგისახავთ მიზნად.

მავრამ ეს საქართველოა, ზაჭონო გია, უძველესი კულტურისა და ტრადიციების ქვეყანა, ის, რაც სხვა ქვეყნებში აპრობირებულია, ყველაფრის ჩვენში დანერგვა შეუძლებელია. საქართველოში ყოველთვის იარსებებს ოჯახები, რომლებიც თქვენს იდეოლოგიას შვილების ქართულად აღზრდით დაუპირისპირდება.

ხის სიმაღლე ფესვებიდან იზომება. ჩვენი წინაპრების ღალადისის ფონზე თქვენი მოსმენა შეუძლებელია. თავად კი, როგორც გენებოთ, გაქვთ უფლება რაღაც მოგნოდეთ და რაღაც არა, მავრამ ქართული ტრადიციული და ეროვნული სულიერების ხელყოფის მრდელიობა თითოეული ქართველის დანაშაულია.

# „ოქიოს სანძისი“ და ძვერი კორხეთის მოსახერეობის ეთნიკური ვინაობა ანუ ხა ენაზე მეტყველებდა მეფე აიეტი



**თანამედროვე არგონავტებმა  
სტარტი 1984 წლის 3 მაისს  
საბარძნეთის ქალაქ ვოლოსში –  
ანტიკური იოლქოსში აიღეს. სწორედ  
აქედან დაიწყო თავის მოგზაურობა  
იასონმა და მისმა მებრძობებმა.**

ქურნალი „სამებრძოლ“ იწყებს სერიულ გაშუქებას ერთი მეტად საინტერესო ისტორიული ფაქტისა, რასაც „ტიმ სევერინის“ საქართველოში მოგზაურობა ჰქვია, ეს იქნება ოქროს სადმისის მაკინაბელი არგონავტების ისტორიული ფაქტის გამყარება და ყველაზე მეტი, მისი ისტორიული ფესვების ძიება. ვისაუბრებთ 3300 წლის წინ შექმნილ თუ არა ოიკუმენის კოლხეთის სანაპიროსთან მიმდინათ. ამ და სხვა საინტერესო დეტალებს არგონავტებისა და „არგოს“ მოგზაურობის შესახებ მომდევნო ნომრებიდან შეიტყობთ.

## ფოთი – პატარა ვენეცია

ფოთი, ანუ ანტიკური ფაზისი, კოლხეთის ვენეცია ყოფილა, ნამდვილ ვენეციაზე უძველესი ვენეცია. ჯერ კიდევ ჰიპოკრატე წერდა 2400 წლის წინათ იმის შესახებ, რომ „ფარინები ანუ კოლხები ქვეითად მხოლოდ ქალაქსა და ბაზარში დაიარებიან“, რომ „ისინი ნავებით დაცურავენ არხებზე, რაც აქ მრავლად არის“.

ფოთში იახტა „კოლხიდა“ შეგვიძლვა, სწორედ ის „კოლხიდა“, რომელიც პირველი შეეგება „არგოს“ ჩვენს ტერიტორიულ წყლებში შემოსვლისას. საზღვაო სადგურის შენობა ხალხით არის სავსე. ნავსადგომზეც ნემსი არ ჩავარდება. საყვირთა გუგუნი, რომლითაც თანამედროვე საოკეანო


გემები ლეგენდიდან მოსული თავიანთ წინაპარს შეეგებნენ, მალე ნაპირზე შეკრებილი ხალხის სიმღერამ, მისასალმებელმა შეძახილებმა და ტაშმა დაფარა.

„არგო“ შავი ზღვიდან პირდაპირ ყვავილთა ზღვაში მოექცა.

ნაპირზე გადასულებიც არ ვიყავით, რომ რადიოპროგრამა „პიკის საათის“ კორესპოდენტმა ზურა მახარაძემ დიქტოფონი მომიშვირა და ორი სიტყვა რომ არა თქვა, წყალში ჩავვარდებო, მითხრა. ახლა იქ ზურას წყალში ჩავარდნის დრო არ იყო და მეც სახელდახელო ინტერვიუ მივეცი კოლეგას. (მაშინ ვერც კი ვიფიქრებდი, რომ ტელე-რადიო



კომიტეტის თავმჯდომარის ნუგზარ ფოფხაძის ნებით ექსპედიციის დამთავრებისთანავე რადიოს ახალგაზრდული პროგრამების მთავარ რედაქციას ჩაუვადგებოდი სათავეში და რომ „პიკის საათიც“ მე მომეკითხებოდა, როგორც მთავარ რედაქტორს). მერე ჩემი მეორე კოლეგა — გვანჯი მანიაც გამოჩნდა. ორი დღის წინათ ზუსტად ამ ადგილას, ბათუმში გამგზავრების წინ ერთი ინტერვიუ უკვე მივეცი გვანჯი მანიას. ეს ფაქტი ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო. საქმე ის გახლავთ, რომ 1970-1971




წლებში თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტებისა და თანამშრომლების ერთმა ჯგუფმა ძველკოლხური ნიმუშის ხომალდით, რომელსაც „ოქროს სანმისი“ დაარქვეს, აფსირტეს ფლოტის „როლი ითამაშა“ და არგონავტთა მდევრების კვალს გაჰყვა. 1970 წელს „ოქროს სანმისი“ შორაპნიდან ფოთამდე დაემგა, მომდევნო წელს კი შავი ზღვის სანაპიროები მოიარა ბათუმიდან სოხუმამდე. ბევრი ხვეწნის მიუხედავად, იმ ექსპედიციაში ჩემთვის, მეორეკურსელი სტუდენტებისათვის, ადგილი არ მოიძებნა. სუსტიანო, ბიჭებს უთქვამთ და აი, ცამეტი წლის შემდეგ სხვა ვინმე კი არა, თავად ამ ექსპედიციის ხელმძღვანელი გვანჯი მანია ინტერვიუს იღებს ჩემგან! დღეს მეორე ინტერვიუც მთხოვა, ნუხანდელი ლამისთევის ამბავი მოგზაურობის მანძილზე, რამდენჯერმე მთხოვა ინფორმაცია და უშურველად მივეცი, თორემ იმასაც ვეუბნებოდი, გულღვარძლიანი არა ვარ, თორემ სიტყვას არ უნდა გეუბნებოდე-მეთქი. (აქვე იმასაც დავსძენ, რომ ალბათ ურიგო არ იქნებოდა, „არგოს“ ქართველ მენიჩბეთა ათეულში ერთი „ოქროს სანმისელი“ მაინც ყოფილიყო...)

ფოთში ტიმ სევერინმა გაიცნო ქართველი მეცნიერები: აკადემიკოსი ანდრია აფაქიძე, პროფესორები ალექსანდრე ალექსიძე, რისმაგ გორდუზიანი, ილია ტაბალუა, პარმენ ზაქარაია, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი ამირან კახაძე და სხვები. აქვე არიან სოხუმის ახალშექმნილი „არგონავტთა კლუბის“ წევრები და მათი ხელმძღვანელი — ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი ვიანორ ფაჩულია.

იქვე, ნავმისადგომთან გამართულ სახელდახელო შეხვედრაზე სტუმრებს მიესალმა ქალაქის მერი გერონტი კუხალაშვილი.

საპასუხო სიტყვით გამოვიდა ტიმ სევერინი:

— მე მინდა მოგმართოთ თქვენ მთელი ეკიპაჟის სახელით, ჩემი სახელით, აგრეთვე ყველა იმათი სახელი, ვინც ყველაფერი გააკეთა, რომ ჩვენი ექსპედიცია განხორციელებულიყო და წარმატებით დასრულებულიყო. მინდა, სულით და გულით მადლობა გითხრათ ყველა აქ შეკრებილი არაჩვეულებრივად გულთბილი მიღებისათვის, შესანიშნავი შეხვედრისათვის, რომლის წარმოდგენაც შეუძლებელი იყო და რომლის დავიწყებაც ასევე შეუძლებელია. ექსპედიციის პირველი დღეებიდანვე „არგოს“ ეკიპაჟის ყოველი წევრი მოუთმენლად ელოდა შეხვედრას ამ ქალაქთან და მის მოქალაქეებთან. ბუნებრივია, ჩვენი მოგზაურობა არ იყო ადვილი; ჩვენ თითქმის სამი თვე ვიყავით ღია ზღვაში, ვებრძოდით გრიგალსა და უამინდობას, მენიჩბეებს მართლა უჭირდათ, მაგრამ უკანასკნელი ორი - სამი კვირის მანძილზე აღვსილნი ვიყავით ფოთთან შეხვედრის მოლოდინით. თქვენს ქვეყანაში ჩვენ კეთილიმისიით მოვედით. ჩვენ ბევრი გვსმენია თქვენი სამშობლოს შესახებ, ბევრი გვსმენია მისი თვითმყოფადი ისტორიის შესახებ, რომელსაც დიდ პატივს ვცემთ. ჩვენ ღირსეულად მივუზღავთ თქვენს ტრადიციებსა და ისტორიულ წარსულს. ბუნებრივია, ჩვენი აქ ჩამოსვლის უმთავრესი მიზანია შეხვედრები ქართული მეცნიერების წარმომადგენლებთან — არქეოლოგებთან და ისტორიკოსებთან. ეს ყველაფერი აუცილებელია ჩვენი სამეცნიერო მუშაობის წარმატებით დასრულებისათვის. მე და „არგო“ ეკიპაჟის წევრები დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი მოგზაურობა საქართველოში სასარგებლო და საინტერესო იქნება. ჩვენ ვიცით, რომ ის სიძნელებები, რომლებიც მთელი



მოგზაურობის მანძილზე გადაელახათ, ღირდა ამაღ. კიდევ ერთხელ მინდა მადლობა მოგახსენოთ ყველა იმათი სახელით, ვინც მონაწილეობდა ამ ექსპედიციის ორგანიზაციასა და ჩატარებაში, მინდა მადლობა მოგახსენოთ ინგლისელთა, ბერძენთა, ირლანდიელთა, დანიელთა, თურქთა, კანადელთა სახელით, რომლებმაც ხელი შეგვიწყვეს იმაში, რომ დღეს თქვენთან ვყოფილიყავით. დიდი მადლობა.

ხანმოკლე, მაგრამ მეტად გულთბილი შეხვედრის შემდეგ ჩვენ გვირაიონის კენავილეთ, ვჩქარობდით, რადგან დაბნელებამდე უნდა მოვასწროთ დაბების გავლა და ამით დრო მოვიგოთ გრძელ და ძნელად სავალ გზაზე. სევერინის ძირითადი მეცნიერული მიზანი ვანის არქეოლოგიური ძეგლების გაცნობა და სვანეთში ასვლაა, ჩვენ პატარა იახტსმენების საპატიო ესკორტით აღფრთოვანებას ვერ მაღავენ ფოთთან — ანტიკურ ფაზისის მინაზე. ფოთი მათი პირველი მასპინძელი იყო კოლხეთში.

აპოლონიოს როდოსელი: „საამო ქარით აფრაგავსილი ხობოლოს უკიდურესი ყურეც პონტოსი და აღიმართნენ ზღვაოსანთ თვალნი კავკასიონის მაღალი მთები“.

მენიჩბეები მალი-მალ ვენაცვლებოდით ერთმანეთს და სულ რაღაც ერთი საათის შემდეგ უკვე რიონის ჩრდილოეთის ტოტში შევნავით. „არგოს“ თვალნი რიონის სანახები — ანტიკური კირკეონის ველი — გადაიშალა. მე შემთხვევით არ მითქვამს „არგოს“ თვალნი-მეთქი. „არგოს“ წინ მართლა ჰქონდა დახატული ორი თვალი. ამ თვლებით თითქოს ისტორია უყურებდა თანამედროვეობას, თითქოს „არგო“ თვალს თვალში უყრიდა ათეულ ათასობით ადამიანს, რომლებიც ნაოსნობის მთელ მანძილზე ინტერესითა და მოკრძალებით უყურებდნენ ამ ლეგენდარულ ხომალდს. (თუ თანამედროვე „არგოს“ მხოლოდ თვალი ჰქონდა, მისი ანტიკური წინაპარი, მითის თანახმად, თურმე

ლაპარაკობდა კიდევ! ლიკოფრონ ქალკიდონელი „არგოს“ ამის გამო „მეტყველ კაჭკაჭს „უნოდებს“).

ფაზისის შესართავს რომ მიუახლოვდნენ, არგონავტებმა არწივი შენიშნეს, რომელსაც ამირანს ღვიძლი ამოეკორტნა და უკან ბრუნდებოდა, ამირანის გულგამგმირავი კენესაც მისწვდა მათ სმენას. ჩვენ კი არწივის ნაცვლად ცაზე თანამედროვე ლაინერი დავინახეთ, რომელიც თბილისიდან ბათუმს მიფრინავდა და ამირანის კენესის მაგიერ რიონის ნაპირებზე შეკრებილი ხალხის მისასალმებელი შეძახილებიც მოგვესმა.

არც რაიონში მოგვეშორებია კინოთვალი. განუწყვეტლივ მუშაობენ საქართველოს ტელევიზიის, ცენტრალური ტელევიზიისა და ბი-ბი-სის გადამღები ჯგუფები. ისიც კი მომეჩვენა, რომ ტელე და კინოოპერატორები ალბათ უფრო მეტს და უფრო დაძაბულად მუშაობდნენ, ვიდრე ჩვენ — მენიჩბეები!

22 ივლისს, დღის 1 საათზე თბილისის დროით, დადგა მოგზაურობის ერთ-ერთი ყველაზე ამაღელვებელი მომენტი: შევდივართ ანტიკურ ფაზის-მდინარეში, რომელმაც, ლეგენდის მიხედვით არგონავტები ჰელიოსის ძის — აიეტის მძლავრ სახელმწიფოში მიიყვანა. საინტერესოა, რომ ფაზის-რიონს შესართავი მითში დაფიქსირებული გეოგრაფიული პუნქტია „არგოსათვის“. ანტიკურ ეპოქაში რიონზე 120-ზე მეტი ხიდი იყო. დღეს კი მათი რაოდენობა ათზე ნაკლებია.

რიონში შესვლისთანავე მკვეთრად შეიცვალა წყლის ფერი: ზღვის სილურჯე მდინარის მომწვანო-რუხმა ფერმა შეცვალა. ვინცებთ მდინარის სიღრმის ხშირ გაზომვას, რადგან აქ ყოველ ნაბიჯზე არის ნაპირზე გარიყვის საშიშროება. გარდა იმისა, რომ რიონის კალაპოტი რამდენიმე ათეული წელიწადია, არ განმენდილა, „არგოს“ ჩამოსვლამდე აქ უნაღებო ამინდები იდგა და მდინარის დონე საგრძნობლად დაეცა. ნაოსნობა გართულებულია, აქ მეტი ყურადღება და სიზუსტეა საჭირო. მეზღვაურთა დაუნერელი კანონის თანახმად, ყველა ერთგულად და კეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას, „არგოს“ საჭესთან თავად კაპიტანი სევერინი დგას.

**პაატა ნაცვლიშვილი**  
ნიგნიდან „მოგზაურობა არგოთი“



# ყველის სწავლებელი

## მაყვალა ხორბალაძე

მაყვალა ხორბალაძე - ლაშქარაშვილი



სწავლებელი ყველისა

მაყვალა ხორბალაძე — ლაშქარაშვილი კომპოზიტორი, პედაგოგი და კონცერტმასტერი დაიბადა ქ. გორში. დამთავრა ვ. მურადელის I სამუსიკო სკოლა ფორტეპიანოს სპეციალობით. სწავლა განაგრძო თბილისის დ. არაყიშვილის სახელობის I სამუსიკო სასწავლებელში ფორტეპიანოს სპეციალობით, შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის მუსიკათმცოდნეობა-საკომპოზიტორო განყოფილებაზე, მუსიკის თეორიის სპეციალობით. კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ მუშაობდა გორის სამუსიკო სასწავლებელში, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში, თბილისის ბავშვთა ფილარმონიასა და ხელოვნების აკადემიაში პედაგოგად და კონცერტმასტერად.

ამჟამად გორის ვანო მურადელის სახელობის სამუსიკო ათწლედის კონცერტმასტერი და ამავე ქალაქის ეკონომიკური უნივერსიტეტის პედაგოგია.

2000 წელს თბილისში ხელოვნების მუშაკთა სახლში გაიმართა მისი შემოქმედებითი საღამო. ქალბატონ მაყვალას შექმნილი აქვს 300-მდე საესტრადო სიმღერა, რომანსები და გუნდები. ახლახანს გამოსცა, საგუნდო სიმღერებისა და საგალობლების სანოტო კრებული — „სადიდებელი უფლისა“, რომელიც საქართველოს პატრიარქს ილია II მიუძღვნა. საგალობლებს ასრულებენ პროფესიონალი მომღერლები.

იგი არის გორის ხელოვანთა, საქართველოს პროფესიონალ ქალთა საზოგადოების წევრი, ქალთა საბჭოს წევრი, დაჯილდოვებულია უამრავი დიპლომით, საპატიო სიგელებით, საქართველოს პრეზიდენტისგან მიღებული აქვს ღირსების ორდენი. არის რესპუბლიკური და საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი, დღემდე აქტიურ მონაწილეობას იღებს გორისა და თბილისის კულტურულ ცხოვრებაში. მეგობრობს იტალიელ ტენორთან, **პაოლო ლევანტინოსთან** და საქართველოს ყველა კუთხეში მასთან ერთად ატარებს საქველმოქმედო კონცერტებს.

მეუღლე, გიორგი ლაშქარაშვილი, გორის ნ. ბარათაშვილის სახ. უნივერსიტეტის ისტორიის მეცნიერებათა პროფესორი იყო.

ჰყავს ქალიშვილი ნინო ლაშქარაშვილი, პიანისტი და სამი შვილიშვილი; გიორგი, თორნიკე და ირინა კირკიტაძეები.



# საქართველო უაქცევი XVII საუკუნის საქართველო

ტყვეებით ვაჭრობამ დასავლეთ საქართველოში განსაკუთრებით მძიმე სახე XVII საუკუნიდან მიიღო, იმერეთის მეფეებს, თუ გურისა და ოდიშის მთავრებს დამპყრობელი ქვეყნებისათვის (თურქეთი, ირანი) პერიოდული თუ ერთდროული ხარკი ხშირად ადამიანთა (ქალ-ვაჟთა) განსაზღვრული რაოდენობით უნდა გადაეხადათ; ამავე დროს მთავრებს და დიდებულებს თავიანთი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საჭირო უცხო საქონელიც ტყვეებზე გადაცვლით უნდა შეეძინათ.

რუსეთის მეფის მიხეილ თევდორეს ძის კარზე მყოფი საქართველოს ელჩი-მიტროპოლიტი ნიკიფორე 1639 წელს მასვე მოახსენებდა: (სამეგრელოში) „არა მარტო მისი მფლობელი ლევანი ჰყიდის ადამიანებს, არამედ მამა-შვილს, ძმა-ძმას, ქმარი-ცოლს, ცოლი-ქმარს ჰყიდის და აქ ჩამოსულ ვაჭრებს საქონელში უცვლის“. საყურადღებო ცნობებს გვანჯდის ტყვეთა სყიდვაზე ფრანგი მოგზაური ჟან ბატისტ ტავერნიე, რომელმაც აზიაში იმოგზაურა 1631-1633 წლებში;

ტყვეების გაყიდვა და უცხო ვაჭართა მიერ მოტანილ საქონელზე გადაცვლა ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

ჟან-შარდენი დასავლეთ საქართველოში იყო 1972 წლის აგვისტოდან ამავე წლის დეკემბრის შუა რიცხვებამდე. ამ ხნის განმავლობაში მიღებული შთაბეჭდილებების შედეგად იგი აღნიშნავს, რომ „აქაური თავად-აზნაურობა ყოველთვის ეძებს შემთხვევას, რათა რისხვად დაატყდეს თავის ყმებს, რომ იპოვოს რაიმე საბაზი და გაჰყიდოს ისინი ცოლშვილიანად. ამავე მიზნით სტაცებენ შვილებს, ჰყიდიან საკუთარ შვილებს, ცოლსა და დედასაც კი. ერთ-ერთმა მათგანმა ერთხელ გაჰყიდა რამდენიმე ხუცესი, რომელთაც ზედ მიაყოლა თავისი ცოლი, რათა ამ გზით შეეძინა საშუალება შეყვარებული ახალი საცოლის გამოსასყიდად და

საქორწინო ხარჯებისათვის. როგორც მეგრელები, ისე გურულები ტყვეებს იტაცებდნენ მეზობელი ხალხებისაგან. ვინც ომის დროს ტყვეებს ხელთ ჩაიგდებდა, იმას შეუზღუდავი უფლება ჰქონდა ტყვის სიკვდილ-სიცოცხლეზე და შეეძლო თავისი სურვილისამებრ მოქცეოდა მას. ჩვეულებრივად, ტყვეს აქცევენ მონად და ჰყიდიან თურქებზე“.

იგივე ჟან შარდენი მოგვითხრობს, რომ გემი, რომელზეც ის იმყოფებოდა, როდესაც სამეგრელოს ნაპირს მიადგა და მგზავრებმა დააპირეს სურსათ-სანოვავის შეძენა, იქ არაფერი მოიპოვებოდა, გარდა ჯაჭვებით შებოროკილი მონებისა და მშვილდ-ისრით შეიარაღებული თორმეტიოდე შიშველი, შიშის მომგვრელი ზედამხედველისა. სხვადასხვა ასაკისა და სქესის მონათა დიდმა რაოდენობამ, რომელთაგან ერთნი შებოროკილი იყვნენ ჯაჭვებით, მეორენი ერთმანეთზე გადაბმულნი, ამ საბაჟო ზედამხედველებმა თავიანთი ყაჩაღური და ბოროტი სახით საშინელი შთაბეჭდილებით აღავსეს ჩემი წარმოდგენაო.

ის გემი, რომელზედაც ჟან შარდენი იმყოფებოდა, მისი სიტყვით „ტყვეების საპყრობილე იყო. ტყვეებს, მათ შორის ყმანვილებსაც, ყოველ საღამოს ჯაჭვით წყვილ-წყვილად აბამდნენ; დილით ჯაჭვს ხსნიდნენ... ყოველ დილას ნაპირზე ცეცხლს ვხედავდით. ეს იმის ნიშანი იყო, რომ იქ უკვე მოყვანილი ჰყავდათ ტყვეები ან სხვა საქონელი გასაყიდად“.

იმ გემზე, რომელზედაც ჟან შარდენი იმყოფებოდა, ორმოცი ტყვე იყო. „კაპიტანი, თურქი და ქრისტიანი ვაჭრები მათ ცვლიდნენ იარაღზე, მრავალგვარ წვრილმანებსა და სხვა საქონელზე“...

„მამაკაცები ოცდახუთიდან ორმოცი წლის ასაკამდე, ღირდა მხოლოდ თხუთმეტი ეპიუ, ორმოცეა მეტი ხნისა — რვიდან ათამდე. ლამაზი ქალწულები — ცამეტიდან თვრამეტ წლამდე — ოცი ეპიუ. სხვაბი უფრო იაფად





ფასობდნენ. ქალები — თორმეტად, ბავშვები სამ ან ოთხ ეკიუდ. ერთმა ბერძენმა ვაჭარმა... ქალი კუჭუთა ბავშვით იყიდა თორმეტი ეკიუდ; ქალი იქნებოდა ოცდახუთი წლისა; ჰქონდა ულამაზესი ნაკბთები და ნამდვილი შრომანისფერი პირისახე. არასოდეს მინახავს ასეთი ლამაზი გულგვირდი, ასეთი მრგვალი ყელი და საოცრად ნაზი ფერხორცი. ეს ლამაზი ქალი ერთდროულად ვნებასაც და სიბრალულსაც იწვევდა“.

ტყვეების ფასი იმდენად დაეცა, რომ შავი ზღვის სანაპირო ზოლზე, მაგალითად 1972 წელს, „25-40 წლის მამაკაცი ღირდა მაშინდელი ფულით თუშანი, ხოლო ახალგაზრდა ქალი 13-18 წლისა — 13 1/2 მანეთი“.

არქანჯელო ლამბერტი ერთ ასეთ საყურადღებო ფაქტს აღგვიწერს: „იყო ერთი უპირველესი დიდებულთაგანი ოდიშში, გვარად ჭილაძე, რომელიც შეჩვეული იყო ტყვეების გაყიდვასა და ამას ერთ წელიწადს თურქთა გემების მოსვლის დროს დასჭირდა ათი-თორმეტი ტყვე ოსმალებზე გასაყიდად, რათა საგაბიეროდ ეყიდა მათგან სხვა საქონელი, რომელიც სახლში სჭირდებოდა. ეს შეიტყვეს მისაყმაბამ და თავს გაქცევით უშველეს რათა ხელში არ ჩავარდნოდნენ მას და თავისუფლება არ დაჰპარგვოდნენ, მაგრამ ხერხი იხმარა საჭირო კაცების მახეში გასაგებლად. გამოაცხადა, რომ ამა და ამ დღესასწაულს დიდებულნი წირვა უნდა გადავიხადოთ და ერთ-ერთ კარის ეკლესიაში უნდა მოვიდნენ მღვდლები, რომელთაც წირვის შესასრულებლად უხვად დავასაჩუქრებ და მდიდრულ ნაღიმს გავუშარტავო; ამ ცრუ დაპირებამ შეაცდინა მღვდლები და დანიშნულ დღეს თორმეტი მღვდელი გამოცხადდა. მათ დიდებულად შეასრულეს წირვა, რომელსაც დიდი ღვთისმოსაობით დაეხნოთ ჭილაძე. წირვა რომ დამთავრდა და მღვდლებს იმედი

ჰქონდათ, თავადი თავის დაპირებისამებრ დაგვასაჩუქრებს და ნაღიმს გავვიშარტავსო, ჭილაძემ ეკლესიის კარები დაკეტა, ჯაჭვები მოათენინა, თორმეტივე მღვდელი ჯაჭვებში ჩასვა, თმები და ბრძალი წვერები მოაპარცვინა და პირდაპირ წააყვანინა თურქთა გემებზე გასაყიდად“.

არქანჯელო ლამბერტი დასძენს: „მა ჩემი თვალთ ბევრჯერ მინახავს, რომ ქმარს თავისი ცოლი გაუყიდა თურქებზე მხოლოდ იმიტომ, რომ ცოტა ეჭვი ჰქონდა მის კუდიანობაზე, რასაც მებრალეები მრუშობაზე უფრო სდევნიან: ამ შემთხვევაში ფასი მარტო ქმარს როდი რჩება, არამედ გაანადილებენ სამად და ერთი წელი ეტევა ბატონს, რომლის ყმად ითვლება ქალი, მეორე—ქმარს და მესამე — ქალის მშობლებს. აქედან სჩანს, რომ ამ საქმეში ბევრს აქვს სარგებლოება და ამიტომაც ხშირია ასეთი ყიდვა-გაყიდვა“.

პატარა იოსებ რომაელი 1675 წელს რომში გაგზავნილ წერილში წერს: „... უმანკო ბავშვებს, თუ ვაჟებს და ქალებს, სავაჭრო მოედანზე ჰყიდიან ოხერ ფასად, რათა მით დააკმაყოფილონ ოსმალების უწმინდური მადა. გვესმის და ვხედავთ მათს ჟღავილს და ტირილს; ამ დროს ზოგი მდინარეში თავს იგდებს, ზოგი თვალებს ითხრის და ზოგიც ცხვირს იჭრის, რათა ურწმუნოებმან აღარ იყიდონ და წმინდა სარწმუნოება არ დაატოვებინონ.“

არქანჯელო ლამბერტი მოგვითხრობს: „ამათ შორის ყველაზე პარბაროსულ ჩვეულებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ყმანვილებს ცოცხლად მარხავენ. უფრო ხშირად დედები მარხავენ თავიანთ ახლად დაბადებულ ბავშვებს. ამ საშინელ საქმეს ჩადიან ხშირად ის ქვრივები, რომელნიც პირველ ქმრის ხელში დაორსულდნენ და მეორე ქორწინებისას ვერ დალოგინებულან. მაშინ ახალი ქმარი თავიდან იშორებს საბრალყო ყმანვილს... ამოთხრის თავის სახლში ორგოს და ჩაფლავს ახლად დაბადებულ ყმანვილს. ასევე იქცევიან ისინი, რომელთაც სიღარიბისა და მრავალ-შვილიანობის გამო, არ შეუძლიათ მათი რჩენა“.

ამ მოვლენის ძირითადი მიზეზები, ცხადია, უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობისა და საერთო მორალური დაქვეითება იყო. გლეხების გამუდმებული შიში გარეშე მტრებისა და საკუთარი ბატონების მიმართ, მათი უუფლებობა, სასოწარკვეთილი გლეხი თავისივე ხელით უსპობდა სიცოცხლეს თავის შვილს, მართლაც ეს იყო ყველაზე საზარელი პერიოდი ჩვენს ქვეყნის ისტორიაში.

მიხეილ რახვიაშვილი



# ნინო ქაშუდანიძე

## ბილიკო

ფანჯრის მინას ვილაცამ კენჭი ესროლა მოსვლის ნიშნად. დარიკომ ჩამოფარებული ფარდა გადასწია და მთვარიან ღამეში, ფანჯარასთან ახლოს მდგარ ვაშლის ხის ძირას, მთვარის ჩრდილში შეფარებული დავითი იცნო. მოსცილდა ფანჯარას, გაალო კარები, მკლავები ლაღად გაშალა და შემობრძანდით, მიაძახა. ჩვეული სტუმართმოყვარეობით შემოიპატიჟა და კარის ზღურბლზე გაბუტული ტურები შეაგება. ჩახუტებულებმა დიდხანს ეფერეს ერთმანეთს. ბედნიერების ვარსკვლავები თავს დასციმციმებდნენ, სიყვარულის ღმერთები ფრთებგაშლილი და ცით მოგზავნილი მუსიკის ნაზ ჰანგებს ფანტავდნენ, მუხები ლექსებს ქმნიდნენ, ხატავდნენ, მღეროდნენ და მარაოსდარად იშლებოდნენ, ცად მაღლდებოდნენ... ლამპის შუქი თვალებს ნამავდა თითქოს, სიმორცხვისაგან იმალებოდა, ძალას კარგავდა და თანდათან მიიმალა...

— მიყვარხარ, დარიკო! უშენოდ რა არის ჩემი სიცოცხლე? — უფრო მიმზიდველი გახდა ეს სიტყვები ფანჯრით შემოსული სავსე მთვარის ფონზე, სიჩუმეს ფართოდ დაეჭყიტა თვალები და სუნთქვაშეკრული ილიმებოდა...

— ო, ამას ნუ იტყვი, შენ თავადი ხარ! მე, გლეხი... ჩვენი სიყვარული არ შეიძლება — ალერსში გახვეული ბუტბუტებდა და ხელს კრავდა ფრთააკრეფილ სიყვარულს, რომელიც ცხოვრებას ულამაზებდა და უხანგრძლივებდა. თან, ობოლი ვარ... მარტო ვცხოვრობ, ერთ მშვენიერ დღეს

გაიგებენ მალულად რომ ვხვდებით და გაგვკიცხავენ, ჯერ ოცი წლისაც არა ვართ, ო, არა!.. შენ, შენი გზით, მე, ჩემი გზით... შენ, თავადი ხარ, ბატონი! არც შენ გაგამართლებენ, იტყვიან, დავითმა გლეხის ქალი შეიყვარაო, მაინც დაგვაშორებენ... — ფირუშთვალა დარიკოს, ცრემლები ცვიოდა, წმინდა და სუფთა ცრემლები... დავითს უფრო ლამაზი ერჩენა ატირებული ქალი. კოცნით ამოუშრო უბეები, მაგრამ იცოდა ეს სიყვარული, ამ ცრემლებს უნდა ჩამოერეცხა, ნალექავდა ბედნიერებას და უბედურებით ჩაანაცვლებდა.

დუმდა დავითი...

დუმდა დარიკო...

დუმდა შეფიქრიანებული ღამე...

დუმდა სიყვარული და სასოწარკვეთილი ვნება...

დუმდა მთვარე...

ფიქრს გადაენია თავი და თვალები ზეცისკენ მიეპყრო, დუმილს ფიქრის კენესა არღვევდა... ოხვრა და დარდი ოცნებას ხელზე დაესვა და გაქცეულ ბედნიერებას სინანულის მზერას აყოლებდა...

\*\*\*

რეკენ ხობის მონასტრის ზარები, ჯვრისწერაა. ეზოს თანდათან ემატება ქორწილში ყოველი მხრიდან მონვეული თავად-აზნაურები და ევროპელი სტუმრები. მასპინძელი ვაი-ვაგლახით, ენის ბორძიკით აცნობს უცხოელთ ქართულ-მეგრულ ადათ-წესებს, ზნე-ჩვეულებებს, ხილული სილამაზის გამო აღფრთოვანებას ვერ მალავენ



უცხოელები, რა მშვენიერებაა, რა ბედნიერი ერი ხართო.

მინდორზე პეპლებივით მოფარფატე გოგობიჭები დარბიან და ყვავილთა გვირგვინს ადგამენ ერთმანეთს, დარბიან, კისკისებენ, ჟრიაშულობენ, ნეფე-დედოფლის გამოსვლის მოლოდინში არიან, ვინ პირველი შეეგებება და შეეხება ბედნიერ კალთას, ზოგჯერ კარებიდან მიმალვით შეიჭყიტებიან და ჯვრისწერას თვალყურს ადევნებენ, ჩვენ რომ გავიზრდებით ასე დავინერთ ჯვარს, ფიქრობენ და ოცნებობენ მომავალი ნეფე-დედოფლები.

არ იცვლება ხასიათი ეზოში, ზოგჯერ, ღელვა იგრძნობა სასიხარულო, ზოგან, უკმაყოფილო სახეები მოსჩანს... ჯვარს იწერენ თავადი დავით ჩიჩუა და აზნაური მაია ხაინდრავა.

ქორწილის დღეს ამინდიც თავადური დაიჭირა შუაგულ ზაფხულში, ზომიერი სიცხე და გრილი სიო ესალბუნება დასიცხულ შუბლსა და გულმკერდს.

—როგორ, თავადმა აზნაური შეერთო?— გაკვირვებისაგან გაიძახოდნენ ცხვირაბზეკილი, უსაქმობისაგან დაღლილი ყიამყრალი თავადი ქალბატონები, რომლებიც მარაოს ნამდანუმ შლიდნენ, კეცავდნენ და ჰაერში სუნამოს სურნელს ფანტავდნენ ირგვლივ.

—დაუჯერებელია! —გამოექომაგა მეორე თავადის ქალი, რომელიც მარაოს, თეთრი თხელი, მოქარგული პატარა ქოლგა ამჯობინა და ხელის გულში, ქოლგის ფოხს ნერვიულად აბზრიალებდა, ალბათ, უკვე მეთასედ შეატრიალა. ნიკაპი უცახცახებდა და ნერვების სისუსტე და მწვავე გალიზიანება ქვედა ტუჩზე და ნიკაპზე ეტყობოდა.

\*\*\*

დარიკომდე ვერ მიდიოდა საქორწილო ხმები, ცეკვა-თამაში და სიმღერის ხმა. ორიოდე კილომეტრი აშორებდათ, მაგრამ შინაგან ხმას ყველაფერი ესმოდა, კედლებს ეხეთქებოდა და ვერ ეტეოდა ძარღვებში ქართველი ქალის ამაყი სისხლი, სათნო და ნაზი სული ბორგავდა, დამცირებას ვერ შეგუებოდა, დაკარგვას, ღალატს, იმ ზღვარის გამო თავადსა და გლეხს შორის რომ გაჩენილიყო. თუმცა, წინდახედულობა გამოიჩინა, მაგრამ გრძნობას ვერ თმობდა მოსაკლავად, დასაკარგად, რადგან, თავად სიყვარული ღმერთია და სიცოცხლე! ჰაერი, პური და მთელი სამყარო!..

ნავიდა დარიკო ხობიდან, გაიყოლა დავითის მხურვალე სიყვარული და გაუყვა გზას, რომელიც დაკარგულის პოვნაში ხელჩაქნეული სხვა გამოსავალს, თვითგამოგონილს ეპოტინებოდა, ებლაუჭებოდა ლამაზი თითებით, ვარდისფერ ღანვებს ცრემლები უღებოდა. ისეთი უსუსური და მიაშიტი იყო, ასმაგად გაელამაზებინა და

ქალური ღირსებები მიენიჭებინა მწუხარებას მისი სახისთვის. ჯერ არ გაეშალა და გაეფურჩქნა ფერად ოცნებას, რომელსაც ძლივს სწვდებოდა ცერებზე შემდგარი. შორით შეჰყურებდა და იმედიანი მოლოდინით გულს იჯერებდა, რომ აიხდენდა უძილო ღამეებში ნაოცნებარ სურვილებს... ახლა კი, შეხვდა, შეეგება იმ შიშს, რომელთანაც შეხვედრა გარდაუვლად მიაჩნდა. მიდიოდა სულწარათმეული და ცარიელი. ვერავინ და ვერაფერი რომ შეეყარებოდა სანაცვლოდ. უსასრულობისაკენ იყურებოდა, და იმ ლამპასავით ბჟუტავდა, იმ ღამეს, ნავთის უკმარისობის გამო, რომ კარგავდა შუქის ძალას.

\*\*\*

ზაფხული შემოდგომამ შეცვალა, დრომ თავისი გაიტანა და ზამთარშიც კი დარიკოს საკვამურიდან კვამლი აღარ ამოდიოდა. მხოლოდ დარდს ამოანთხევდა საკვამური და წარსულს, მომავალი კი ყოველდღე ელოდა სასწაულს, მაგრამ არაფერიც! არაფერი იცვლებოდა ჟამთა ტრიალში, მხოლოდ ლოდინი ათენ-ალამებდა, მომტირალი იერ-სახე ვერ მოეცილებინა საბრალო სახლ-კარს. გაზაფხულზე ისევ აფრიალდნენ ხეები ობლად, ისევ იმზირებოდა ფანჯარა დავითის მოსვლის მოლოდინში, ისევ და ისევ დარიკოს მოლოდინში და იმედიანი ღიმილ შერჩენილი გაჰყურებდა ჭიშკარს-მოლოდინი...

გლეხი ქალის ასავალ-დასავალი დანამდვილებით ვერავის გაეგო. ზოგი ამბობდა, დარდს გადაყვაო, ზოგი ამბობდა, თავი მოიკლაო, ტყეში ხეზე თოკით ჩამომხრჩვალა იპოვესო, ზოგი რას და ზოგი რას არქმევდა უბედური ადამიანის ბედს, ღმერთმა უწყოდა მხოლოდ. მოკლედ, დაიკარგა! ყველას უკვირდა სახლ-კარის მამაკაცის ღალატის გამო ასე უპატრონოდ მიტოვება, ნუთუ, გული არ დანყდაო. არადა, სინამდვილეში გული აღარ ჰქონდა დარიკოს უკვე. მას ამოგლიჯეს, როგორც ხეს ამოგლეჯენ ფესვიანად და საზრდოს-მინას დაუნანებლად რომ მოაშორებენ, შემდეგ ცეცხლზე დასანვავად ნანილ-ნანილ დაჭრიან და დაჩეხვენ აი, ასე დაუნანვერეს საბრალო ქალს გული და დაუჩეხეს.

დავითი დიდად შეაწუხა საყვარელი ქალის უგზო-უკვალოდ გაქრობამ. ჩუმად, ცრემლმორეული ხობისწყლის პირას ჩამოჯდებოდა, ყიალსა და ღვინის სმამი იკლავდა ნუხილს. დარდს მისცა თავი, „ჭირმა“ მაინც ვერ დამალა თავი და ცოლი ამჩნევდა მეუღლის უგუნებობას, გაუხარელ დღეებს. შეკითხვას ვერ უბედავდა თავადს. ის განცალკევებით ნუხდა საკუთარ თანამეცხედრეზე, ვერ გაეგო რა უნდა ყოფილიყო მიზეზი ასეთი უგუნებობისა.

\*\*\*

დრო სწრაფმავალია, შეუჩერებელი, ავ-  
კარგიანობით გაჯერებული. ახალგაზრდობას  
დროც თან გაჰყვა, გაიარა კუთვნილი საფეხური  
და სიბერეც შეაჩერა დრო სიკვდილ-  
სიცოცხლის ზღურბლთან, ბატონყმური ხანაც  
მას გააყოლა. ამოესუნთქა გლეხობას ტკივილიანი  
მათრახებისაგან, შორი-შორს დაძუნძულებდა  
დაჩივებული თავად-აზნაურობა. ფეხს იკიდებდა  
თავისუფლება და ზეიმობდა, დროებასთან და  
სიბერესთან ერთად მუხლი მოიდრიკა და უმწეო  
გახდა დავითი, სიყმანვილის ხიბლი შერჩენოდა მის  
ვაჟკაცურ, თავადურ აღნაგობას. მახსოვრობაც  
ნაწილობრივ დაქვეითებოდა და წარსულის  
სურათიდან აქა-იქ ფერმკრთალი კადრები  
შერჩენოდა ცოდვების მოსანანიებლად, ზოგიც  
ფერადი, გულის გასახარად-ეჰ, რა ბედნიერიც  
ვყოფილვარო...

... ნაცნობ და ნაჩვევ გზას დაადგება ხოლმე  
დავითი. ეს გზა, ეს ბილიკი კარგად ახსოვს, ისიც  
იცის, რომ დარიკოს ჭიშკრამდე მიიყვანს, იქ ოდა  
სახლი, ვაშლის ხე და ფანჯარა ელოდა, ნახევრად  
ჩამოფარებული ფარდის გადაწევის და ლამაზი  
ლიმილის გამოჩენა...

ეჰ, ახსოვს, ახსოვს და კარგადაც ახსოვს  
შეხვედრის წუთები... მიუხედავად სუსტი ჯანლო-  
ნისა სვენებ-სვენებით დარიკოს ჭიშკართან

სასწრაფეული ჩამოჯდება და ყალიონს  
თავადური გამომეტყველებით ქაჩავს. ველურ  
ეზო-კარს სიყვარულის ეშხი დასთამაშებს  
და კეთილშობილს ხდის, დიდხანს უმზერს,  
თვალმოუცილებლად ბატონყოფილი, მაგრამ  
გაბრაზებული, გულნატკენი დარიკო არ ჩანს. ...  
იცის არ შეურიგდება ამაყი გლეხის ქალი.

გამვლელ-გამომვლელს ბოდიშის მოხდით  
შეაჩერებს და ეკითხება:

-ბაბა, აქ რომ ცხოვრობდა ლამაზი ქალი,  
სახელი არ მახსოვს, ბაბა, ოღონდ... -სახელის  
მოგონებაზე ნაღველი ჩაუდგება თვალეში  
და ვერა და ვერ გაეხსენებინა. ნანვალეში,  
ფიქრიანი თვალეებით მიაჩერდება და დამეხმარეთ  
გახსენებაშიო, პასუხის მოლოდინშია.

-არ ვიცით, ბაბუ, ვერ გეტყვით... მხრების  
აჩერვით ეუბნებიან მოხუცს ახალგაზრდები  
და ქვიან გზას მიუყვებიან უკანმოუხედავად,  
იქნებ, ისინიც სიყვარულიან ბილიკს მისდევენ  
ნაბიჯაჩქარებულები.

ასე მეორდება თითქმის ყოველდღე და  
სიყვარულით ნატკეპნ ბილიკს მერამდენედ  
მიუყვება, რომელზედაც დიდმა სიყვარულმა  
გაიარა და დარდად გადაქცეულა, მონატრებად  
გადაქცეულა და დროს ვერ გაემეტებინა  
დასავინწყებლად.

## ეს საინგერესოა

### ნიღაბი. რომელიც აჩერებს თმის ცვენას და ამოჰყავს კიდას!

ალბათ ყველას ჰქონია თმის ცვენასთან დაკავ-  
შირებული პრობლემა. ბთავაზოვით თმის ნიღაბს,  
რომელსაც ამოჰყავს გაცვენილი თმა, აძლიერებს  
თმის ძირებს და აჩერებს თმის ცვენას 100%-ით.

#### ნიღბისათვის დაგჭირდებათ:

2 ს/კ მშრალი მდოგვი (მდოგვის პუდრი);

1 კვერცხის გული;

1 ს/კ ზეთუნის ან ქოქოსის ან სუფთა  
მზესუმზირის ზეთიც გამოდგება;

2 ს/კ წყალი.

მასალას ერთმანეთში ავურევთ, მნიშვნელობა  
არ აქვს თანმიმდევრობას. კარგად არევის შემთ-  
ხვევაში ფაფის მსგავსი მასალა გამოვა, რომელიც  
დაუბანელ, მშრალ თმაზე უნდა წაისვათ.

მასა თმის ძირებში უნდა წაისვათ, შემდეგ  
პოლიეთილენის პარკით შეიფუთოთ და ერთი  
საათის განმავლობაში გაიჩეროთ.

თმის ნიღბის წასმა აუცილებელია თავდა-



პირველად კვირაში ერთხელ 5 კვირის განმა-  
ვლობაში. შესაძლოა, თავის კანი აგენვათ, მაგრამ  
დაახლოებით 20 წუთის შემდეგ მაინც უნდა  
ჩამოიბანოთ, რომ ეფექტი მიიღოთ. თუ თმა და  
კანი მშრალი გაქვთ, შეიძლება უფრო გაგიშროთ  
ამ ნიღაბმა, ამიტომ თმის ბოლოებზე ცოტადენი  
ზეთუნის ზეთი წაისვით და ამ პრობლემას თავიდან  
აიცილებთ.





# სინჯი ქანკანი

## მეგნოლა

სინი (ქინიკი) დარბნი პირთესითი უქიმი იყო. სიმკონი მხოლოდ გაცაქვების გამო დარბყო, ანორა მის მიკონ შენიყრებყლი ქალაქური გახონის სიმკონები თყ ზომანსები მექარ დყნებნიკარ და პანომონიყარ ისმინება. დანატანებელი დარბნის სიმკონის სარკონარ უღვანცყნი, ანონსკონიყარი მანერი. მან ხყსქარ მიკონი თონთორიყარ ქალაქური სიმკონები. ყვღატური დარბერი დყნებნიკარ ისმინება და სარბთორ ანი დარბარს ყარბი მანერიმში, ზომიკლიყ დარბერი სშიონი ამ მყსიკამი. იქმნება თონსი წლის წინანბერი, ზინორბებით განატებელი დყნების აცმონსური და იმინონბერი ცხორების შვიკმნება. ზომიკლიყ თარბი სინანციით სარყთან თარბი შვიკმონის დონის იძკორი. ყმეცეს შვიკმონიყამი ცექსციების აცქონიყ თარბი ცინიკი გარბათ. მისი შვიკმეკეობიკან, ახალი თარბისთარბი, სარმყანორი მხოლოდ „მეგნოლიკა“ ცხობილი. ცინიკის ნამკონი დარბერი იშვიკათარ ზანერიკარ. სანბერიკონორ, ურთი თინთიყარ შვიკონიყნიკი, სარყ მეკყიყკითა ანსამბლის აკომპანემენციით თთხ ქალაქური სიმკონის ანყარებს.



# ქანთუღ-აფხაზური აშხაპი

## იური ანუას მოწამეობრივი სიკვდილი

მაშინ დაიბადა, როდესაც კომუნისტური ათეიზმის ზეობას უამრავი ადამიანი და სალოცავი ეწირებოდა - 1934 წლის 6 აგვისტოს, ქალაქ ოჩამჩირეში, მორწმუნე და ღვთისმოშიში მშობლების ოჯახში. მიუხედავად ქრისტიანთა დევნისა, მათ ილორის წმინდა გიორგის ეკლესიაში მონათლეს ვაჟი და სიყრმიდანვე ღვთისა და ხატების სიყვარული ჩაუნერგეს.

სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა, მოსკოვის სამშენებლო-საინჟინრო ინსტიტუტში წარმატებით დაასრულა. სამი საერთაშორისო პროექტის ავტორი გულში



მუდამ ატარებდა უფლის სიყვარულსა და სასოებას. კამანში სააგარაკო მიწის შეძენის მერე შეიტყო იქაური სიწმინდეების შესახებ. კამანში გარდაიცვალა წმინდა იოანე ოქროპირი და სწორედ კამანში ინახებოდა მისი სარკოფაგი, რომელშიც ბიზანტიაში გადასვენებამდე იყო დაბრძანებული მისი სხეული; კამანში აღმოაჩინეს მესამედ წმინდა იოანე ნათლისმცემლის მოკვეთილი თავი;

კამანში აწამეს და კამანშივე დაკრძალეს წმინდა ვასილისკო. აქვეა წყარო, რომელმაც ამ მოწამის ლოცვით ამოხეთქა, როდესაც იგი, ბორკილებდადებული და პაპანაქება მზეში ხეზე მიბმული, უფალს ევედრებოდა. ეს წყარო თავისი სასწაულმოქმედებით გამოირჩეოდა და იზიდავდა მორწმუნეებს. მაგრამ ათეიზმი მძვინვარებდა და კამანში მისულ იურის იოანე ოქროპირის სახელობის ტაძარი დანგრეული, სარკოფაგი სოხუმში გადატანილი, წყარო კი დაჭაობებული დახვდა. წმინდა ვასილისკოს საფლავის ადგილი კი ერთ-ერთი ოჯახისთვის მიეცათ სამოსახლოდ.

კადრები 1992 წელს, ომის მიმდინარეობისას გადაღებული ვიდეოჩანაწერიდან:

იურის სიყრმიდანვე ჩაუნერგეს სიწმინდეების სიყვარული და კრძალვა. ამიტომაც კამანში გამეფებულ უპატივცემულობას ვერ შეეგუა და დაიწყო აღმშენებლობა, რომელიც ხელისუფლებასთან გამუდმებული ბრძოლის ფონზე მიმდინარეობდა. იური, ოჯახთან ერთად, ფაქტობრივად, კამანში გადასახლდა და 1975 წელს საკუთარი სახსრებით დაიწყო წმინდა იოანე ოქროპირის სახელობის ტაძრის აღდგენა, რომელშიც რევოლუციამდე მართლმადიდებლური სამყაროს ერთ-ერთი უდიდესი და მნიშვნელოვანი დედათა მონასტერი იყო — აქ 1500 მონაზონი მკაცრი ტიპიკონის მიხედვით მოღვაწეობდა. იურიმ არა მარტო აღადგინა ტაძარი, არამედ მას უმთავრესი სიწმინდე — წმინდა იოანე ოქროპირის სარკოფაგიც დაუბრუნა. როდესაც განახლებულ და გამშვენიერებულ ტაძარში ილია მეორემ სადღესასწაულო წირვა აღავლინა, იურის წმინდა გიორგის პირველი ხარისხის ორდენი გადასცა ჯილდოდ.

მაგრამ ბატონი იური ჯილდოსათვის არ



შრომობდა, მის მართალ სულს არ შეეძლო უქმობა, როდესაც ირგვლივ ამდენი რამ იყო გასაკეთებელი. იოანე ნათლისმცემლის თავის მესამედ პოვნის ადგილამდე მისვლა მორწმუნეებს ძალიან უჭირდათ, ამიტომაც მან საკუთარი ხელით გააკეთა 1500 საფეხურიანი კიბე. ასვლისას დასვენება რომ შეძლებოდათ, ყოველი 100 საფეხურის შემდეგ რკინის სკამებიც გააკეთა.

შეიტყო, რომ წმინდა ვასილისკოს საფლავთან მისვლას მლოცველებს მინის მეპატრონე უშლიდა, ამიტომაც მთლიანად შეისყიდა მეპატრონისგან მისი სახლიცა და ბაღიც, რომ მორწმუნეებს სინმინდეების თავყვანისცემის საშუალება ჰქონდათ.

წმინდა ვასილისკოს ლოცვით ამოხეთქილ წყაროს რომ მიაკითხა, ქვენარმავლებით სავსე უზარმაზარი ჭაობი დახვდა წინ - იმისათვის, რომ უფლის არსებობის ეს ხილული მაგალითი დაემაღლათ მორწმუნეთაგან, ათეიზმის მქადაგებლებმა აქ თევზსაშენის მოწყობა გადანყვიტეს და უზარმაზარი რეზერვუარიც ამოთხარეს. მაგრამ, როცა წყალი გაუშვეს მის ასავსებად, წყალმა აუზის ნაცვლად მოსახლეობის ოჯახებში ამოხეთქა. ვერაფრის შეცვლა რომ ველარ შეძლეს, ყველაფერი მიატოვეს და წავიდნენ. დროთა განმავლობაში ის აუზი დაჭაობდა და ქვენარმავლებით აივსო. იურიმ გადანყვიტა, იქაურობა კვლავ მინით ამოევსო. უამრავი მანქანა მიწა დასჭირდა ჩანაფიქრის განსახოციელებლად. თან ხელისუფლებაც მკვეთრად უპირისპირდებოდა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ეს ყველაფერი ტელევიზიითაც გადასცეს. მაგრამ მან მაინც გადალახა ყველა დაბრკოლება, აუზი მინით ამოავსო და მოედანი დაამშვენა. ასე რომ, კვლავ დაიბრუნა თავისი დიდებულება წყარომ.

მაგრამ იური ამით არ დაკმაყოფილებულა. მის ცოლ-შვილს ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხვდებოდათ მისი გაკეთებული სიკეთე უჩუმრად გაღებული და გაკეთებული. რამდენი ტაძრის აღდგენასა და გამშვენებაში მიიღო მონაწილეობა, ვინ მოთვლის... რამდენ გაჭირვებულს დაეხმარა...

მერე კი აფხაზეთის ომიც დაიწყო. თავიდანვე ჰქონდა გადანყვიტელი, რომ კამანს არ მიატოვებდა. მხოლოდ გულით გამოითხოვდა მოძღვარს, რომ მას ტაძარში წირვა-ლოცვა აღევლინა. და ღმერთმაც მამა ანდრია მოუვლინა, ყურაშვილი. ერთი ვიდეოზეა წამიერ გაელვებად შემონახული, ერთად როგორ მიაბიჯებენ მამა ანდრია და იური. ასე ერთადვე გაიარეს გოლგოთა და შეუერთდნენ უფლის დასს.

მამინ, კამანში, სოფელი რომ დაეცა, მამა



ანდრიამ უკანასკნელად ჩაიბარა აღსარება ტაძარში შეკრებილი მრევლისგან და უკანასკნელად აზიარა ისინი, იური კი იპოლიაკვნის სტიქარით შემოსა. მერე ეკლესიის ეზოში შემოიჭრა მტერი. გარს შემოერტყნენ ტაძარს, ითხოვნენ, კარი გაგვიღეთო. და იურიმაც (იპოლიაკვანმა გიორგიმ), მოძღვრის კურთხევით გააღო. მოძალადეებმა ხელი სტაცეს და გარეთ გაათრიეს. ამის დანახვამ განსაკუთრებით გაამწარა მომხდურნი და ღალატი დასწამეს იურის: ვინ ხარ ეროვნებით? აფხაზიო - უპასუხა. მერე, თუ აფხაზი ხარ, ქართველებთან რა გინდაო? მე ვიცი, ვინ იყვნენ ჭეშმარიტი აფხაზები და ვის ეკუთვნის ეს მიწა - ამაყად დაუბრუნა პასუხი იურიმ. მერე დაჩოქება მოსთხოვეს - „არავითარ შემთხვევაში!“ - გაისმა მისი ხმა.

წმინდა ვასილისკოს წყაროსთან აიყვანეს -24 საათის განმავლობაში საშინელი სისასტიკით აწამებდნენ, სცემდნენ, მრავალგზის დაჭრეს ფეხებში, ბოლოს კი ხეზე ჩამოკიდეს და ისე დაცხრილეს. ამ ამბის შემსწრე ერთ-ერთი რუსი რეზიდენტი, ტყვედ ჩაგვარდნის შემდეგ, დაკითხვისას ამბობდა — მთელი ომის განმავლობაში ამაზე ბარბაროსული და სასტიკი არაფერი მინახავსო. ამ დროს, თვითონვე ყვებოდნენ, ვინ იყო ეს კაცი და რამდენი რამ ჰქონდა გაკეთებული და აშენებულიო.

მისმა ოჯახმა სწორედ ამ რეზიდენტისგან შეიტყო **იური ანუას** მოწამებრივი აღსასრულის შესახებ. მანამდე, რამდენიმე თვის განმავლობაში, ცოლ-შვილმა არაფერი იცოდა ოჯახის უფროსის ბედსა და ადგილ-სამყოფელზე.

სხვებისგან გაიგეს ისიც, რომ კამანში, ეკლესიის გალავანთან, მამა ანდრიას საფლავის გვერდზე დაუსაფლავებიათ. ასე რომ, სიკვდილის შემდეგაც კამანში დარჩა — კვლავ მის უხილავ მეოხად და პატრონად.

# რამდენიმე აპოლოდი თინათინ ჯიქიას სსოპრაზოდან

## ღა საჩუქარი უბღუნა ჯიქიუძის ქალმაცონს კონსტანტინე გამსახურდიამ

ამბობენ, XX საუკუნის 30-იან წლებში, როდესაც თბილისის საოპერო თეატრში საპრემიერო თუ რიგით სპექტაკლზე დასასწრებად მისული ეს მშვენიერი ქალბატონი ჩნდებოდა, ირგვლივ განლაგებულ ლოჟებში, პარტერში თუ ქანდარაზე მსხდომი ყველა ასაკის, რანგის და გემოვნების მათურებელი სპექტაკლს ივინყებდა და მისი სილამაზით ტკობობას ამჯობინებდა.

ამბობენ, მასზე უიმედოდ ბევრი ყოფილა

შეყვარებული, მაგრამ მხოლოდ ერთმა შეძლო მისი გულის მოპოვება... ეს იყო ინჟინერი ვლადიმერ ჯიქია.

ამბობენ, ბევრმა სცადა მისი მშვენიერების ლექსებით შემოკობა, მაგრამ მხოლოდ ერთმა შეძლო იმ უკვდავი სტრიქონების შეთხზვა, თითქმის ყველა შეყვარებულმა ქართველმა რომ იცის...

ეს ქალბატონი **თინათინ ჯიქიაა**, ხოლო ამ არაჩვეულებრივი სტრიქონების ავტორი **კონსტანტინე გამსახურდია**...



ზღვისფერი გაქვს თვალები და  
თავად გაჯანჯარ ზღვას,  
თუ არ შეგებრალეები და,  
მისთხოვდები სხვას,  
მივატოვებ გასაფხულზე  
თესვასა და სვნას,  
გადავლანავ ადიდებულ ჭოროხსა  
და მტკვარს,  
ცეცხლს გავატან შენ სამყოფელს,  
შენ სიუვარულს ქარს,  
და მოგიკლავ, მოღალატეკვ,  
მავ ნაფერებ ქმარს  
ზღვისფერი გაქვს თვალები  
და თავად ჰგავხარ ზღვას...

არის კიდევ ერთი შემადგენელი ნაწილი ამ მშვენიერი ბანოვანის უკვდავყოფის ტრიადისა - გამოჩენილი ქართველი ფერმწერის ქეთევან მაღალაშვილის მიერ შექმნილი ფერწერული პორტრეტი, რომელიც ქალბატონი თინათინის შვილების მარინა და ნანა ჯიქიების ოჯახშია დაცული.

თანამედროვეთაგან ცოტა ვინმე დაუტოვებია გულგრილი თინათინ ჯიქიას ბუნებრივი, სინაზით სავსე ხატებას. იგი ხიბლავდა მშვენიერების მოყვარულებს ახალგაზრდობაშიდაც და მაშინაც, როდესაც წლებმა, განვლილმა რთულმა ცხოვრებამ თავისი კვალი დატოვა მის ღვთაებრივი მომხიბვლელით აღსავსე გარეგნობაზე...





მრავალი წლის წინ, ქალბატონი თინას ქალიშვილმა მარინა ჯიქიამ ტექნიკური უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში მოაწყო კონსტანტინე გამსახურდიასადმი მიძღვნილი ლიტერატურულ — მუსიკალური საღამო. მასზე მოხვედრა, ლადო გუდიაშვილის ნახატით დამშვენებული მოსანვევის მოპოვება ბევრს საოცნებო გაუხდა. საზოგადოება აღფრთოვანებით შეხვდა მცოვან მწერალს. როდესაც სცენიდან გაისმა ცნობილი სტრიქონები „ზღვისფერი გაქვს თვალები და“... მთელი დარბაზი ბატონი კონსტანტინესკენ შეტრიალდა.

პირველად და უკანასკნელად ქალბატონი თინათინი 2001 წელს, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ვნახე - ამ დროისთვის იგი ოთხმოცს გადაცილებული იყო, მაგრამ ასეთი ღვთაებრივი სილამაზე იშვიათად თუ შემხვედრია... დახვეწილი, თითქოს ნაქანდაკარი სახის ნაკეთები, სპილოსძვლისფერი, ან უფრო ზუსტად სადაფისფერი, თითქოს გამჭვირვალე სახის კანი, არაჩვეულებრივი ცოცხალი თვალები, ცოტა დაძაბუნებული, მაგრამ საოცრად ნაზი, ნატიფი ხელები. სტუმრებთან გამოსასვლელად იგი ქალიშვილებმა მორთეს-მოკაზმეს.

ეს იყო დაუვინყარი სანახაობა. დროის მსახვრალმა ხელმა ვერაფერი დააკლო მის მშვენიერებას - იჯდა სავარძელში ძველებურად ელეგანტური, დედოფლური ღირსებით აღსავსე და ამავე დროს სადა ქალბატონი და მონყალედ

რეაგირებდა მოსმენილ კომპლიმენტებზე.

ბევრს ახსოვს ღრმად მოხუცი, მაგრამ კვლავ მშვენიერი მერი შარვაშიძე რევაზ თაბუკაშვილის დოკუმენტური ფილმიდან, ამბობენ ასეთივე მშვენიერები იყვნენ ახალგაზრდობაშიც და ხანდაზმულობაშიც მელიტა ჩოლოყაშვილი, სალომე ანდრონიკაშვილი, თამარ ციციშვილი - მეფური გარეგნობის ქალბატონები, პოეტთა და მხატვართა მუზეები, რომელთაც XX საუკუნის კატაკლიზმებმა არგუნეს ომი, გაჭირვება, ემიგრაცია, აქ დარჩენილთა ნაწილს კირეპრესიები და სტალინური ბანაკების სიმწარე და ყველაფრის მიუხედავად, მათ შეძლეს შეენარჩუნებინათ სილამაზე, რომელიც ერის საგანძურის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

თინათინ ჯიქიამაც, როგორც შემდგომში ხალხის მტრის მეუღლემ, გაიარა გზანი ნამებისანი და სასწაულებრივად გადარჩა. განვლილი მძიმე ცხოვრების მიუხედავად, ის მაინც მშვენიერი იყო.

ქეთევან მაღალაშვილმა იგი ომის შემდგომ 1946 წელს დახატა.

არცთუ დიდი ზომის ფერწერული პორტრეტი სავსეა პოეტური განწყობითა და სევდით. ფონი სადაა. მოდელი სამ მეოთხედშია გამოსახული, კაბის ყელზე ლურჯი ფერით შესანიშნავადაა გადმოცემული მისი ინდივიდუალობა. ამკარად ჩანს, რომ პორტრეტის შექმნისას მხატვარი ქალიც ერთგვარად ითვალისწინებდა პოეტის სტრიქონებს და სამოსისა თუ მორთულობის დეტალებში (ცისფერი კაბა, ლურჯი მძივების ასხმა) არჩევდა იმგვარ ტონებს, რომლებიც კიდევ უფრო გაუსვამდნენ ხაზს თვალების ცისფერ ფერს.

თინათინ ჯიქიას გამოსახულების შექმნა სცადა ცნობილმა რუსმა მხატვარმა ვასილ შუხაევამაც. ემიგრაციიდან დაბრუნების შემდგომ მაგადანში გადასახლებულმა ხელოვანმა საცხოვრებლად თბილისი აირჩია. აქ აღბეჭდა მან ქართული კულტურის გამოჩენილი მოღვაწენი, აგრეთვე მშვენიერი ქალბატონები, მათ შორის თინათინ ჯიქია.

ქალბატონი თინათინი აღარ არის ამქვეყნად, მაგრამ დარჩა მოგონება მშვენიერ ქალბატონზე, ქეთევან მაღალაშვილისეული პორტრეტი, კონსტანტინე გამსახურდიას სტრიქონები და მისივე ავტოგრაფი - ჯიქიების ოჯახისთვის ნაჩუქარ წიგნზე "ზღვისფერი გაქვს თვალები და თავად გავხარ ზღვას"...

**ნინო ზაალიშვილი,  
ნინო ყიფშიძე**

# სასარგებლო რჩევები

## თაფლი და ნიორი ვენების გაგანიერების სამკურნალოდ

ვენების ვარიკოზული გაგანიერება ფართოდ გავრცელებული დაავადებაა, რომელსაც უმეტესად ქირურგიულად მკურნალობენ, თუმცა, ზოგ შემთხვევაში მკურნალობა ოპერაციის გარეშეც შეიძლება, თუ ვენების სიგანე კანის ზედაპირზე არ აღემატება 5 მმ-ს, ვენური კვანძების დიამეტრი კი 6-7 მმ-ს.




თაფლისა და ნიორისგან მომზადებული საშუალება ააქტიურებს ვენის დრენაჟულ ფუნქციას, რაც უხდება როგორც თავად ვენებს, ისე მთელ ორგანიზმს.

• აიღეთ 250 გრამი გარჩეული, გახეხილი ნიორი და დაასხით 350 გრამი თაფლი, კარგად აურიეთ, დადგით 1 კვირით და მიიღეთ თითო სადილის კოვზი დღეში 3-ჯერ, ჭამამდე 40 წუთით ადრე. მკურნალობის კურსი 2 თვეა.

აძლიერებს და ვენურ ტონუსს ზრდის სვიის გირჩების ნახარშიც:

## საოცარი მცენარე კიბოს პროფილაქტიკისა და მკურნალობისთვის.

რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ფაქტი ფაქტად რჩება-ამ ექსტრაქტით მკურნალობენ კიბოს ბულგარეთში და უფრო მეტიც-ამ ექსტრაქტის გამოყენება 100 პროცენტთან გარანტიას იძლევა, რომ სრულიად განიკურნოთ როგორც ოპერაციამდე, ასევე მის შემდგომ პერიოდშიც და ეს სულაც არ არის მოგონილი ზღაპარი. ეს მცენარე ყველასათვის ცნობილია საქართველოში, მას ჩვენი წინაპრები ოდიტგანვე იყენებდნენ კუჭ-ნაწლავის მოსაწესრიგებლად (ფალარათის დროს). რეცეპტი სხვათა შორის ძალიან მარტივია და რუსეთში არიან ადამიანები, რომლებიც ამტკიცებენ რომ სწორედ ამ ექსტრაქტით ისინი სრულიად განიკურნენ ამ მომაკვდინებელი დაავადებისგან, რომლისგანაც უამრავი ადამიანი იტანჯება დღესდღეობით და მათ შორიც ჩემი უახლოესი მეგობარიცაა. როგორც კი ეს ინფორმაცია მოვიძიე მიხდა თქვენც გაგიზიაროთ, იქნებ მართლაც ასეთი ყოვლისშემძლეა ეს ექსტრაქტი როგორც წერენ და ვინ იცის როგორ დაეხმარება სასონარკვეთილ ადამიანებს. დარწმუნებული ვარ ამ ექსტრაქტის სიკეთეში, იმაშიც რომ მისი მიღება ადამიანს არ ავნებს, რადგან მეც ბევრჯერ მიმიღია ბებოს რჩევით ბავშვობაში. მოდი მივყვეთ მისი მომზადების რეცეპტს, როგორც ტექსტშია აღწერილი.



შევაგროვოთ ანწლის კენკრის მარცვლები სუფთად, ეს მცენარე ხომ მთელ საქართველოშია გავრცელებული (ягоды бузины черной). ჩავყაროთ ფენა-ფენა მშრალ, სუფთა მინის ჭურჭელში, დაახლოებით 1 სმ კენკრა შემდეგ შაქარი და ასე შემდეგ ვიდრე არ გავავსებთ ბოლომდე მინის ჭურჭელს და დავდგათ 1 თვემდე გრილ ადგილას. შემდეგ მიღებული ექსტრაქტი განურეთ და მიიღეთ დღეში სამჯერ ერთი სუფრის კოვზი ჭამის შემდეგ, ხოლო ჭამამდე 10 წუთით ადრე დალიეთ 150 გრ. გამოხდილი წყალი. მკურნალობის კურსია 45 დღე. ერთი თვის შემდეგ ისევ გაიმეორეთ. სამი ასეთი სეანსი და კიბოც ქრება.

პროფილაქტიკისთვის კი საკმარისია ერთი ასეთი კურსი წელიწადში. ეს ექსტრაქტი ყველა ადამიანს აძლევს ენერჯისა და მხნეობას. ჩემო ძვირფასო მკითხველო, არ გეგონოთ რაიმე შეთხზული ისტორია მოგანოდეთ, უბრალოდ გადმოვთარგმნე, იქნებ ვინმესთვის იმედის ნაპერწკალიც იყოს ეს ინფორმაცია და დაეხმაროს კიდევ, რისი დიდი იმედიც მაქვს!





# დრო, როგორც სრული გარეუ ვერ გაიხსენებთ

სოხუმი... გაგრა... ბიჭვინთა... სიტყვები, რომელთა წარმოთქმაც ტანში გვზარავს, სიტყვები, რომელთა კვალი ჰაერში იკარგება, მათი გახსენება შიშის, სირცხვილის, სინანულის, ოხვრისა თუ მოთქმა-გოდების ემოციას იწვევს: - შიშის, რამეთუ ფიქრობ, ჩვენი ვაი პატრიოტებისა და ხელისუფალთა უგნურების გამო შთამომავლობას თამარისა და დავითის მიერ გაერთიანებული ქვეყანა ნუთუ სამუდამოდ ერთიორად შევუმცირეთ?! სინანულის, რადგან აფხაზეთი ჩვენი სულის სავანე იყო, ოხვრისა თუ მოთქმა-გოდების, რამეთუ სწორედ რომ ჩვენი სულის სავანე ჩვენივე თანამოძმეთა სასაკლავო მოედნად იქცა, ადგილი, სადაც ქართველების თავებით ფეხბურთს თამაშობდნენ, ადგილი, სადაც სატანა ცეცხლის ენით ლაპარაკობდა და ფეიერვერკებად ტყვიამფრქვევებსა და ზარბაზნებს იყენებდა.

მართლაც და ვაი, რა დავკარგეთ!!! ახლა, ამ ზაფხულის ცხელ დღეებში, რატომღაც ფიქრებში აფხაზეთი ამეკვიატა. ჩემზე უფროსი თაობა შვებულების დღეებს ხომ სწორედ იქ იტარებდა. აბა, საოჯახო ფოტო ალბომებს ჩავხედო. სურათის კიდეზე წარწერა: Сухуми, 1970, Бичвинта 1965 და ასე შემდეგ. სამწუხაროდ, ეს ფოტო არქივი გვახსენებს მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ერთიანობისა და სიდიადის მადლს.

ეს ფოტო სურათებშია შემორჩა ჩვენს მომავალ თაობას ძველი ნაშთისა და დიდების აღსაქმელად.

**ნიკო რეხვიაშვილი**

# ცკიკიკი




# დაბრუნებას უნდა სახეობა

1918 წლის 26 მაისს ქართველმა ხალხმა დამოუკიდებლობა იზიარა, საქართველო ახალ ცხოვრებას იწყებდა. თუმცა ხანმოკლე ალონდამ მისი დამოუკიდებლობა.

1921 წელს რუსეთის მიერ ანექსიის შედეგად ექვთიმე თაყაიშვილმა საქართველოს მთავრობასთან ერთად დატოვა სამშობლო და განდგა მთავალყურედ გაჰყვა ემიგრაციაში. გახიზნულმა მთავრობამ თან წაიღო საქართველოს განძი, რომელშიც შედიოდა საქართველოს მუზეუმების დაცული ძვირფასეულობა: ოქრო-ვერცხლის საბანკოები და თვალ-მარბალით მოჭრილი სხვა საგანგებო, ძვირფასი ხელნაწერები, ზუზდიდის დადიანისაული სასახლის განძეულობა, ბელათის, მარტვილისა და სხვა-დასხვა მონასტრებიდან წამოღებული ნივთები. მიუხედავად იმისა, რომ განძის მისაპურად საქართველოს მთავრობა ითვლებოდა, ფაქტობრივად განძს ექვთიმე თაყაიშვილი მიუტოვებდა. განძი სულ 39 ყუთი იყო, ექვთიმეს იგი მარსელის ბანკში ჰქონდა შენახული. განუზომელია ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლი ქარველი ერის საგანგებო გადაწყვეტილების საქმეში. მიუხედავად დიდი გაჭირვებისა, ექვთიმე თაყაიშვილმა საქართველოს დაუბრუნა ეროვნული საუნჯე.

ჟურნალი „სამეგრელო“ პერიოდულად გიამგობთ ექვთიმე თაყაიშვილის მიერ დაბრუნებული საგანგებოების შესახებ.



### შემოქმედის სატაბი

შემოქმედის ფერისცვალების ხატი წარწერის თანახმად 886 წელს განეკუთვნება, იგი ძლიერ დაზიანებულია და რესტავრაციის კვალი ემჩნევა. ხატის ჩარჩოს ზედა ნაწილი ორნამენტისა და ცალკეული ფიგურების გამოსახულებათა სტილის მიხედვით XIII საუკუნეს ეკუთვნის. კომპოზიციის ქვედა ნაწილში გამოსახულ მოციქულთა ფიგურებს რესტავრაციის კვალი ეტყობა. ქრისტე გამოსახულია

ფეხზე მდგომი, მაკურთხებელი მარჯვენით, მარცხენა ხელში გრაგნილი უკავია. წინასწარმეტყველნი ვედრების პოზაში დგანან.

შემოქმედის მდიდარი საგანძურიდან შემორჩენილია ქართული რელიეფური პლასტიკის შესანიშნავი ძეგლი, XI საუკუნის ვერცხლის ხატი (ფირფიტები), რომელზეც გამოსახულნი არიან წმ. ნიკოლოზი და წმ. ბასილი. ორივე ფირფიტა დაკრული იყო ღვთისმშობლის ხატზე. ფირფიტები ერთი ზომისაა, ვიწრო, მაღალი, ნახევარწრიული მოხაზულობით, თითოზე თითო წმინდანია ფრონტალურად გამოსახული; მათ ხელში წიგნები უჭირავთ. ფიგურებს ახლავს შესაბამისი წარწერები, ამასთან წმ. ნიკოლოზის ფირფიტაზე მთელი არე შევსებულია ასომთავრული წარწერით: „ქ. სახელითა ღმრთისათა შეიქმნეს მამასახლისობასა ეფთმისა ელითა ივანე მონისძისათა...“ გვერდით სხვა წარწერაა: „ქრონიკონი იყო ს“ (1040 წ.).

როგორც წარწერიდან ჩანს ოქრომჭედელი ყოფილა ივანე მონისძე. ხატები ინახება ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში.



### ბრეთის ჯვარი

ბრეთის საწინამძღვრო ჯვარი შესრულებულია X-XI საუკუნეების მიჯნაზე, ოქრომქანდაკების გაბრიელ საფარელის მიერ. ჯვრის წარწერაში ნათქვამია: „შეიქმნა ელითა გაბრიელ საფარელისათა“. სხვა წარწერებში მოიხსენიება ისტორიული პირი ბაგრატ




# საკანძერი

— აფხაზთა მეფე. ჯვარი მოოქროული ვერცხლისაა. ტარი ფოთლოვანი სახეებითაა დაფარული, ბურთულზე კი მედალიონებში მახარებელთა რელიეფური ფიგურებია. ჯვარზე დაკრულია ჯვარისებრი ფირფიტა ქრისტეს ქანდაკებით. ჯვრის ბოლოებში ორი მედალიონია ანგელოზის და ნვეროსანის წმინდანის, აგრეთვე არის ორი გამოსახულება: წმ. მარიამის და იოანე მახარებლის.



### ბრილის ჯვარი


ბრილის ჯვარი, ანუ დავით კურაპალატის ჯვარი შესრულებულია X საუკუნეში, შესანიშნავი ოქრომქანდაკებლის ასათ მოქმედის მიერ. ჯვარი აღმოჩენილ იქნა სოფელ ბრილში (ხაშურის რაიონი). ნანარმოები მნიშვნელოვანია თავისი მხატვრული და ისტორიული ღირებულებით. ჯვრის წინა მხარეს გამოსახულია ჯვარცმული ქრისტე და სხვა წმინდანთა ფიგურები — მარიამი და იოანე ჯვარცმულის ორსავე მხარეს, ზემოთ მამალმერთი, ქვემოთ კი ღვთისმშობელი ყრმით. სხვა გვერდები დაფარულია ორნამენტებით და შემკვეთის ნარწერებით. წინა პირზე არის წარწერა: „ქრისტე ადიდე ღღეგრძელობით დავით კურაპალატი, ამინ“; ზურგზე: „ასათ მოქმედი“.



### სინური მრავალთავი

სინური მრავალთავი, რომელიც 354 ფურცლისაგან შედგება, გადანერილია 864 წელს; იგი პირველი თარიღიანი ხელნაწერია. მრავალთავი წმინდანთა ცხოვრება-მარტვილობის კრებულია, დღემდე გადარჩენილ ნაწილში 18 ავტორის 50 თხზულებაა. სინური მრავალთავის გადამწერია კალიგრაფი და სასულიერო მოღვაწე მაკარი ლეთეთელი, რომელიც იყო ეფრემ მანყვერელ ეპისკოპოსის ნათესავი და გრიგოლ ხანძთელის მოწაფე. გადანერაში მოწინააღმდეგეობა მიუღიათ აგრეთვე მის სულიერ ძმებს — პიმენ კახს და ამონას, რასაც გვამცნობს ტექსტის ბოლო გვერდებზე მაკარის ანდერძი: „მე მაკარი ლეთეთელი, ძ გიორგის გრძეისა, ცოდვილი ფრიად, ღირს მყო ღმერთმან შესაქმედ წმიდისა ამის წიგნისა მრავალთავისა თანა-შენეწვითა ძმისა ჩუენისა სულიერად პიმენ კახისათა და ელთ-წერითა დედისა ძმისწულისა ჩემისა ამონა ვახტანგ მოძარღულისა ძისათა, სასენებელად სულთა ჩუენათს და სულთა მშობელთა ჩუენათს და ყოველთა გარდაცვალებულთა თსთა ჩუენათს... დაინერა ესე წიგნი იერუსალემს, ლავრასა დიდსა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა საბასსა დღეთა ღმრთის მოყუარისა თევდოსი პატრეაქისათა და საბა-წმიდას პატიოსნისა და სანატრელისა სოლომონ მამასახლისათა.“

და დაინერა წმიდა ესე წიგნი დასაბამითგან წელთა ხ, ქრონიკონი იყო პდ. და მე გლახაკმან მაკარი, შევწირე წმიდა ესე მრავალთავი წმიდათ-წმიდასა მთასა სინას სასენებელად და სარგებელად თავთა ჩუენთა და სულთა ჩუენთათს“. მაკარის მიერ სინას მთის მონასტრისათვის შეწირული მრავალთავი ახლაც იქ ინახება.



### მარტვილის ოთხთავი

მარტვილის ოთხთავი გადანერილია 1050 წელს იოანე მესვეტის და არსენის მიერ, ივანე ფარჯანიანის დაკვეთით: „მე ივანე ფარჯანიანმა დავინერე წმიდა ესე სახარება სალოცველად თავისა და სულისა ჩემისა და ძმათა და შვილთა ჩემთა“. ამის ქვემოთ გადამწერნი მოიხსენიებიან: „დაინერა წმიდა ესე სახარება ელითა ადიდენ ღმერთმან, იოვანე მესუეტისათა, ლოცვასა წმიდასა თქვენსა გვერდით... და მეც გლახ სანყალობელი სულითა არსენი ეშმს ძე... იესუ ქრისტე, შეინყაღე სანყალი და მწარედ ცოდვილი არსენი მწერალი. ქრონიკონი იყო სო“ (1050 წ.). იოანე მესვეტე ცხოვრობდა მარტვილის მონასტრის კოშკ-სვეტში, აქვე გადაუწერია მას აგიოგრაფიული კრებული 1030-1031 წლებში, ვახტანგ ფარჯანიანის შეკვეთით. ხელნაწერში ასოები შემკულია სტილიზებული ფოთლებით, ზოგი ასო თავადაა სტილიზებული ფოთლის მსგავსად გამოყვანილი.

დავით კიკოლაშვილი



*სოციალური საქართველოს ამცნობს*

## ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ზუგდიდში

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და აიპ „სოციალური დაცვის ლიგა“ შორის დღეს ურთიერთ თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების მემორანდუმი გაფორმდა. ორი სტრუქტურის თანამშრომლობას ხელი გამგებლის მოადგილემ გიზო სართანიამ და აიპ „სოციალური დაცვის ლიგა“ გამგეობის თავმჯდომარემ მოანერგეს.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ახალგაზრდებისა და შშმ პირების საარჩევნო უფლებების დაცვას მოიცავს. მხარეები თანამშრომლობას განახორციელებენ ახალგაზრდა ამომრჩევლების საარჩევნო კულტურის განვითარებისა და აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბების მიზნით. საგანმანათლებლო ღონისძიებების მეშვეობით სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების, შშმ პირთა უფლებების კონვენციის 29-ე მუხლის მოთხოვნათა იმპლემენტაციის ფარგლებში.

„სოციალური დაცვის ლიგა“ იღებს პასუხისმგებლობას ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ განხორციელებული სხვადასხვა პროექტებისა და აქტივობების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას საზოგადოებაში. გამოავლინოს ახალგაზრდა და შშმ პირ ამომრჩეველთა პრობლემები და შესაძლებლობის ფარგლებში მისცეს განმარტებები.



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა კი თავის მხრივ აიპ „სოციალური დაცვის ლიგას“ გადაუზღავნის ყველა საჯარო ინფორმაციას, სიახლეებს ახალგაზრდა და შშმ პირ ამომრჩეველთა ადგილობრივი პროგრამებისა და პროექტების თაობაზე.

მუნიციპალიტეტის გამგეობა უზრუნველყოფს ლიგის ჩართულობას ამ სფეროში მიმდინარე სხვადასხვა აქტივობებში.

მემორანდუმის ფარგლებში ხელმოწერ მხარეებს შორის შესაძლებელია შემუშავდეს თანამშრომლობის მექანიზმი.

## საჯიქიოს ხიდის მშენებლობა ინტენსიურად მიმდინარეობს

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ცაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში საავტომობილო ხიდის სამშენებლო სარეაბილიტაციო სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს. საგახარო – საჯიქიოს უბნის ერთადერთი დამაკავშირებელი ხიდი რკინა – ბეტონისგან შენდება და მაღალი სიძლიერის ავტოტრანსპორტსაც გაატარებს. პროექტი რეგიონალური განვითარების ფონდის მიერ დაფინანსდა და მისი ღირებულება შეადგენს 45 000 ლარს. აღნიშნული ხიდით 200 მდე ადგილობრივი ისარგებლებს.







სრულიად საქართველოს მცნობს

### ინტელექტუალუბის ნაკრებება ნალენჯისაში

ნალენჯის მუნიციპალიტეტის გამგეობის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილებამ 24 აგვისტოს, საჭადრაკო სახლში ჩაატარა ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“, სადაც მონაწილეობას ღებულობდა 4 გუნდი.

ბროლის ბუს მფლობელი გახდა მე-4 გუნდი, კაპიტანი-გიორგი ბელქანია.

25 აგვისტოს კი, ოთხივე გუნდი (56 სტუდენტი) ნალენჯის მუნიციპალიტეტის გამგეობის დაფინანსებით, ბათუმში ექსკურსიაზე გაემგზავრა.



### ინჟინერული მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაშია

- ✓ ენგურჰესის კაშხალი მისი სიმაღლით, მეორე ადგილზეა მსოფლიოში თაღვან კაშხლებს შორის. (საერთო სიმაღლე - 271.5 მეტრი, ხოლო განივი სიგეც - 728 მეტრი)
- ✓ ენგურჰესის ჰიდროელექტროსადგური უნიკალური ტექნიკური და საინჟინრო ნაგებობების ურთულესი კომპლექსია,
- ✓ ჰესის სამშენებლო სამუშაოები 1961 წელს დაიწყო და 1977 წელს დასრულდა
- ✓ ინდუსტრიული მემკვიდრეობის დაცვის და გადარჩენის მნიშვნელობის დასტურია შჩ-ს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის წლევანდელი, 39-ე სესია, სადაც ნორვეგიის რიუკან-ნოტოდენის სამრეწველო მემკვიდრეობას - ჰიდროელექტროსადგურების, ელექტროგადამცემი ხაზების, ქარხნების, სატრანსპორტო სისტემებისა და ქალაქების ერთობლიობას - მსოფლიო მემკვიდრეობის სტატუსი მიენიჭა.
- ✓ მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაშია ასევე, იაპონიის ინდუსტრიული რევოლუციის სივრცეები (ქარხნები, ქალაქები), ჰამბურგის საწყობები, ფორტ ბრიჯი დიდ ბრიტანეთში, „ფრაიბენტოს“ ინდუსტრიული ლანდშაფტი ურუგვაიში.





## სრულიად საქართველოს ექსპრესს

### საქმიანი შეხვედრა ტყის მართვის მდგრადობის შესახებ

მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააქტო დარბაზში შედგა საკონსულტაციო შეხვედრა CENN-კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის წარმომადგენლებსა და მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის წევრებს შორის. ორგანიზაციის ქსელი, ავსტრიის თანამშრომლობა განვითარებისთვის ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოს რეგიონებში ახორციელებს პროექტს „ტყის მდგრადი მართვა საქართველოში“, რომლის ფარგლებში დაგეგმილია ადგილობრივ თვითმმართველობებთან აქტიური თანამშრომლობის გაღრმავება. პროექტი ითვალისწინებს სათემო ტყეებისა და მწვანე ზოლების მართვის მიმართულებით ადგილობრივი თვითმმართველობების შესაძლებლობების განვითარების გეგმის შედგენას. ამ მიზნით 18 აგვისტოს, 15:30 საათზე მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის დარბაზში გაიმართა საკონსულტაციო შეხვედრა. შეხვედრას ესწრებოდნენ მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე გიორგი გოროზია, გამგეობისა და საკრებულოს თანამშრომლები, გამგებლის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულში, კეთილმოწყობის ცენტრის თანამშრომლები.



### ამხანაგური მატჩი მარტვილში

21 აგვისტოს მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს ინიციატივით მურთაზ ხურცილავას სახელობის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა ამხანაგურისაფეხბურთომატჩიმარტვილისსაფეხბურთოსკოლისგუნდ„ბერმუხასა“ და თბილისის „დიდუბე 2014-ს“ შორის (12-13 წლიანების გუნდები). საინტერესო შეხვედრა მარტვილის საფეხბურთო სკოლის გუნდის გამარჯვებით დასრულდა ( ანგარიში 4:2). თამაშის დასასრულს დაწესებული პრიზი „მეგობრობის თასი“ მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ალექსანდრე გრიგალავამ სიმბოლურად გადასცა თბილისის „დიდუბე 2014-ის“ გუნდს. შეხვედრას გულშემმატკივრობდნენ მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებელი ალექსანდრე გრიგალავა, საკრებულოს თავმჯდომარე ალექსი გაბისონია, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მათე ქაჯაია, დიდუბის რაიონის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი ლადო ძნელაძე, სასპორტო სკოლის დირექტორი დავით სურმავა, კლუბის პრეზიდენტი ლაშა მიმინოშვილი და საზოგადოების წარმომადგენლები. დღის ბოლოს სტუმრებმა დაათვალიერეს მარტვილის ულამაზესი ბუნება - მდ. აბაშის კანიონი.







*სოფლისა და საქართველოს ამცნობს*

## სოფლი ნუგზარ ლემონჯავას სახელობის თასი გათამაშდა



24 აგვისტოს ქ. სობის ცენტრალურ სტადიონზე სტარტი აიღო სობის საფეხბურთო სკოლის, ფოთის „კოლხეთის“ ფაბუკ ფეხბურთელთა, მარტვილის საფეხბურთო სკოლისა და სობის "კოლხეთის" გუნდების ყოფილი ფეხბურთელის, ტრაგიკულად დაღუპული ახალგაზრდის ნუგზარ (ნუტი) ლემონჯავას სახელობის გარდამავალი თასის რიგით მეორე გათამაშებამ მინი ფეხბურთში. ტურნირი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაციის, სობის საფეხბურთო კლუბ „კოლხეთი“-ს და სობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის ორგანიზებით ტარდება და მასში დასავლეთ საქართველოს მასშტაბით 6 საფეხბურთო სკოლის გუნდი იღებს მონაწილეობას. შეჯიბრი გაიმართება როგორც უმცროსი ასაკის, ასევე უფროსი ასაკის ფეხბურთელთა შორის. ფინალური შეხვედრა 29 აგვისტოს ნუტის დაბადების დღეს შედგება. ტურნირის გახსნის ცერემონიალს სობის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე ვარაზ გაბედავა, მუნიციპალიტეტის ხელისუფლების წარმომადგენლები, სობის მაჟორიტარი დეპუტატის გოდერძი ბუკიას ბიუროს ხელმძღვანელი რევაზ ნულაია და მონვეული სტუმრები დაესწრნენ.

## სოფლი ჰიბრიდული ჯიშების ნიმუში აიღეს

21 აგვისტოს სობის მუნიციპალიტეტის თორსა-დღვანის, პირველი მაისისა და საგვიჩიოს ადმინისტრაციულ ერთეულებში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს ინსპექტირების განყოფილების უფროსი გია ხუბულავა და ამავე სამმართველოს გარემოსდაცვითი სწრაფი რეაგირების განყოფილების უფროსი სპეციალისტი ლევან კვეკვესკირი, მათ მცენარეული კულტურების: სიმინდისა და სოიოს ჰიბრიდული ჯიშების ნიმუში აიღეს და შემოდგომში მათი ვარგისიანობის დადგენის მიზნით საზღვარგარეთ, კერძოდ ავსტრიაში ამბულატორიული გამოკვლევისათვის გასაგზავნად შეფუთეს.



სინჯების აღების პროცესს, სპეციალისტებთან ერთად დამკვირვებლის სტატუსით სობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ნანი ღვინჯილია, ამავე სამსახურის უფროსი სპეციალისტი თემურ კანკავა და შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.



*სრულიად საქართველოს ამცნობს*

### ინფრასტრუქტურული პროექტები სენაში

სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა დგებუაძემ, შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად, ჭყონდიდელის ქუჩაზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა. ამჟამად მიმდინარეობს ტროტუარებისა და ბორდიურების, ასევე გზის გასწვრივ არსებული ღობეების რეაბილიტაციის პროცესი. პარალელურად წესრიგდება წყალგაყვანილობის სისტემა და მიწისქვეშა კომუნიკაციები. უახლოეს პერიოდში დაიწყება ასფალტობეტონის საფარის დაგება. ამ ეტაპზე ქუჩის სრული რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში, უკვე რეაბილიტირდა შენობა-ნაგებობების ფასადები და მიმდებარე სკვერი. დამონტაჟდა გარე-განათების თანამედროვე სისტემა, მოეწყო საინფორმაციო სტენდი.



ჭყონდიდელის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოების მთლიანი ღირებულება 755 000 ლარს შეადგენს, რომელსაც აწარმოებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული 2 საამშენებლო კომპანია: შპს „შარა-გზამშენი პირველი“ და ინდ. მენარმე „დათო ადამია“. პროექტის დასრულების შემდეგ ჭყონდიდელისა და ჭავჭავაძის ქუჩების კვეთაზე განთავსდება შუქნიშნები. აღნიშნული სამუშაოების განხორციელების შემდეგ ქალაქის ეს ნაწილი თვისობრივად ახალ დაცვირთვას და განახლებულ იერს შეიძენს.

სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა დგებუაძემ, საავტომობილო გზების განსახლებისა და გარემოს დაცვის სამმართველოს განყოფილებისა და მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებმა ნოქალაქევი-ლექაძამედიდი ჭყონის საავტომობილო გზის მიკოტახილის მონაკვეთზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერეს. ამ უმიშენლოვანესი პროექტის განხორციელების პროცესში, სავალი გზის ნაწილის გაფართოვების, მთის ქანების ჩამოჭრის, ხიდბოგირებისა და გაბიონების მოწყობის პარალელურად, გამგეობის ინიცირებით, დაიწყო სატრანსპორტო მოძრაობის შეფერხების პრევენციისთვის კლდეების გასწვრივ ქვის ამჭერი ბადეების მოწყობის შესწავლა. უახლოეს მომავალში ექსპერტთა ჯგუფი დეტალურად შეისწავლის არსებულ მდგომარეობას, რის საფუძველზეც დაიწყება ქვის ცვენისგან დამცავი ბადეების მოწყობის სამუშაოები.





# ახალი ნიგნები

## „ნიმო რეხვიაშვილის გამომცემლობისგან“



„ნიმო რეხვიაშვილის გამომცემლობამ“ კიდევ ერთი ახალი ნიგნი წარუდგინა მკითხველს, რომელიც საქართველოში კარგად ცნობილი ქორეოგრაფის, აჭარის სახელმწიფო ანსამბლ „სორუმის“ ხელმძღვანელის, თემურ ბიბილაიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოგვითხრობს. მისი ბიოგრაფიული შტრიხები და შემოქმედებითი გზა მწერალმა გივი სიხარულიძემ ნოველების სახით მიიტანა მკითხველამდე. ეს მწერლისთვის უკვე მეოცე საავტორო გამომცემაა. ნიგნი შინაარსობრივად მრავალფეროვანი და სანიტარულია. ტექსტის რედაქტირება გააკეთა ნიმო რეხვიაშვილმა. ნიგნი აიწყო და დაკაბადონდა „ნიმო რეხვიაშვილის გამომცემლობაში“.

ბედნიერი ვარ, ისეთ ადამიანთან ურთიერთობის გამო, როგორიც ქალბატონი ლუარა ჭანტურიანა. იგი შემოქმედი ადამიანია, მისი საგავრვო კოეხია პატარებს ჯადოსნურ სამყაროში ამოგზაურებს. ბედნიერია როცა საკუთარ კუთხას — სამეგრელოს ეფერება, განუსაზღვრელია მშობლების, ძმების, ძმისშვილების, მეგობრებისა თუ ახლო ნათესავების მიმართ მისი სიყვარული და პატივისცემა. მას გუნებაა ყველაზე დიდი ჯილდო, სიყვარულის ნიჭი უბოძა.

აი, ასეთ ადამიანზე დავწერა ნიგნი: „ლუარა ჭანტურიანს ცხოვრების კვალდაკვალ“, სადაც შევეცადე მისი ცხოვრებისეული ეპიზოდები მოკლედ, მხატვრულად, პროზის სახით გადმოგეცა მკითხველისათვის.

ჩემ მიერ ჩემსავე ნაშრომებზე საუბარი, ცოტა უხარხულია. ნიგნი სამჯერაა გამოსული. განსჯა კი გონიერი მკითხველისათვის მიმინდვია.



ნიმო რეხვიაშვილი



# „ნიმო რეხვიაშვილის გამომცემლობა“



მისამართი:  
თბილისი,  
ლესელიძის 27  
მე-2 სართ.  
599746810  
790746810

